სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის ბუნებრივი საკვები სავარგულების გამოყენებაში, სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო წამოწყებათა ორგანიზაციის მეცნიერების მიხედვით. უმთავრესად, ორ მთავარ ხერხს განასხვებენ და, ამის თანახმად, პირუტყვის მოვლა-შენახვაშიც არ ძირითად ტიპზე ლაპარაკობენ ხოლმე: ე. წ. მორეკეგითსა და გალალგითზე (ანუ ისეთზე, როდესაც პირუტყვს ყოველდღიურად არ იძრულებენ კირ-მიღმოზე). პირუტყვის სახეობის (მსხვილი რქასანი პირუტყვი, ცხვარი, ღვარი, ცხენი), მეურნეობის ადგილმდებარეობის და კიდევ რამდენიმე სხვა გარემოებისაგან დამოკიდებით, ბუნებრივი საკვები სავარგულების გამოყენების რეგულიზაციაში შესაძლებელია იდგილი ჰქონდეს მეტი თუ ნაკლები ფარგლება და ღონის თვისებურებას, რაც განსაზღვრავს ამ თრი ძირითადი ხერხის გარკვეულ სხვადასხვაობის და ამ უკანასწერელთაგან თითოეულის ერთგვარ თვისთვავადობას; ამის შედეგად თაგა იჩინს ხოლმე წყება გარდამავალი საფეხურებისა და თავისებური ილეობისა.

უკანასწერი შლების განმავლობაში, საბჭოთა კავშირში—უზახეობის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მრავალ რაიონში—ფართოდ შოთავე ფეხი გალალვით-საძოვრულმა მეცხოველეობამ, რომელიც სილ სისტემის წარმოადგენს ქოჩად მუშლობის ყოფილი ამ რაიონების საძოვართა უზარმაზარი ტერიტორიის ვამოყენებაში. საძოვართა გამოყენების ამ იბალმა სისტემის განსაზღვრული როლი შეისრულა საბჭოთა კავშირის სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მეცხოველეობის განვითარებაში ომის დროს და თავისი მნიშვნელობა შეისრულდა აგრეთვე ომის შემდგომი პერიოდისათვისაც!

მეცხოველეობის წარმოების გალალვით-საძოვრული სისტემა მრავალი უპირატესობით ხასიათდება. სიკრისია აღინიშნებს, რომ ამ ხერხით მეცხო-

¹ ი. შემდგომი პერიოდისათვისაც! შემდგომი პერიოდისათვისაც!



ველეობა უახლოვდება იაფი საკვების პირველ წყაროს და ეს ხერხი, როგორც მაშორებული საძოვრების სხვა დარგთა რაციონალიზაციას, რაღაც დაშორებული საძოვრების მასივთა გამოყენება ვამოათვისუფლებს ფართობის საგრძნობ ნაწილს კოლმეურნეობაში, საკარმიდამო ცენტრების მახლობლად, მარცვლეული და ტექნიკური კულტურებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ვალალვით საძოვრული მეცხველეობა თვალსაჩინოდ ახანგრძლივებს იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხადაც ეს ხერხია გამოყენებული, პირუტკის საძოვრულ მოელა-შენახვის პერიოდს, მაშასაღაშე, ამცირებს ბაგურ მოელა-შენახვის პერიოდს.

საკაგშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ობერვლის პლენურში 1947 წელს მიიღო დადგენილება უახახეთში, აღმოსაფლეთ ციმბირში, ყირგიზეთში, ბოვლების სამხრეთ ურალში და ჩრდილო კავკასიაში მესარუცული მეცხველეობის ფართო მასშტაბით გაწვითარების შესახებ საზაფხულო და საზამთრო საძოვრების უფრო სრული გამოყენების საფუძველზე.

სარკავშირის მინისტრთა საბჭომ და საკაგშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტმა, დადგენილებაში „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახვადოებრივი პროდუქტიული მეცხველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ (1949—1951 წ.)“ კიდევ ერთხელ გამახვილებ ჩვენი უზრადლება ამ საკითხზე. მათ მიგვითითეს მეხორუცული მიმართულების მეცხველეობის როგორც მსხვილი რქანის, ისე, განსაკუთრებით, მეცხვარეობის—წარმოებისას ბუნებრივი საკვები სავარგულების, საზაფხულო და საზამთრო სეზონური საძოვრების, მაქსიმალურ გამოყენებაზე.

იმავე დადგენილებაში, სამეცნიერო-საკვლევი და სასწავლო ინსტიტუტების წინაშე—შრომის წითელი დროშის ორდენის ლად ბერიას ხახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წინაშეც—ამოცანად დაყენებულია შედგენი მეცხველეობაში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის სამწლიანი გეგმისა. ამ გეგმაში სხვა საკითხთა შორის, განსაკუთრებული უურადლება უნდა მიეკცეს ვალალვითი მეცხველეობის მდგომარეობის შესწავლის და გამჭვიდვებებისას.

ამ დავალების შესარულებლად წარმოებული მუშაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია წინამდებარე წერილი.

ზემოთ უკვე დასახელებულ რაიონებში ქმნიდ მავალი პრიმიტიული მეურნეობის ლიკვიდაციისთვის ერთად, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობის გადაფილები, როგორც წესი, მოელი წლის განმავლობაში პირუტკების საძოვრულ მოელა-შენახვიდან ბავურ-საძოვრულ მოელა-შენახვაზე, როდესაც პირუტკე 100—180 დღეს და მეტ ხანიც ბაზური შენახვის პირობებში არის ხოლმე. ასეთმა სისტემამ გამოიწვია საზამთრო საკვების საგრძნობი მარავის შექმნის აუცილებლობა და, ვინაიდან ქმნიდ მავალი მოსახლეობა დაბინადრდა, ამ სისტემას ისიც მოჰყავა, რომ კოლმეურნეობათავან დაცილებულ და ძირითადი შიწის მფლობელობის შიჯნების გარეთ მდებარე საძოვრებს და სათიბებს არ იყენებდნენ.



პირუტყვის მოვლა-შენახვის ამ წესს, სულადობის გადიდებასთან ერთდროულად მოყვა საზამთრო და საძოვრული საკეთი მოთხოვნილების გადიდება, ხმარებული კოლმეურნეობათათვის გადაცემული მიწის ძირითადი ფართობები ვეღარ იქ- მაყოფილებდა ამ მოთხოვნილებას სათიბებით და სეზონური საბალახოებით. ამავე დროს, ბაგურ-საძოვრული სისტემა, საზამთრო საკეთი რეწვია და მო- ზიდვისათვის შრომის თვალსაჩინო დანახარჯებს მოითხოვდა, კოლმეურნეობე- ბის და საბჭოთა მეურნეობების მიწისმფლობელობის მიჯნებს იქით კი მრავლად რჩებოდა საზამთრო და სხვა სეზონური საძოვრების გამოუყენებელი მასივი. ყველა ამ გარემოებამ მოითხოვა ბაგურ-საძოვრული სისტემის საკითხის გადათ- ვალიერება ქოჩად მავალი მცხოვრელების ყოფილ რაონებში. შემოღებული იყო პირუტყვის გალალვით-საძოვრული მოვლა-შენახვის წესი და თანაც, მთავრობის დადგენილების თანახმად, ამ რაიონების კოლმეურნეობებს გადა- ეცა პირუტყვის გასალალვად საძოვრის ნაკვეთები, რამაც მრავალ კოლმეურ- ნეობას და საბჭოთა მეურნეობას მისცა შესაძლებლობა ცხვრის, ცხენის და სხვა სახეობის პირუტყვის საძოვრულ-ბაგური და მთელი წლის განმავლობა- ში საძოვრული მოვლა-შენახვის ფართოდ გამოყენებისა.

ამჟამად საძოვრულ გამოყენებას დაქვემდებარებულია საძოვრების ახა- ლი ითეული მილიონი ჰექტარი. ამასთან დაკავშირებით, თვალსაჩინოდ შემ- ცირდა შრომის დანახარჯი ბაგური შენახვისათვის საჭირო საკეთი დამზა- დებასა და ტრანსპორტზე. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთხით პირუტყვის ნაწილი, ფაქტობრივად, დაიტემის მთლიანადაა გაყვა- ნილი ძირითადი მიწის მფლობელობის მიჯნების გარეთ და დაფუძნებულია ბუნებრივი საკეთი რესურსების აღვილებზე. ამან თვალსაჩინოდ გააღიდა პი- რუტყვის სულადობის ზრდის შესაძლებლობანი, შეამცირა გალალული პირ- უტყვის ბაგური მოვლა-შენახვის პერიოდი 80—120 დღემდე ჩრდილოეთის რაიონებში, 20—50 დღემდე — სამხრეთის რაიონებში; კერძოდ ცხვარი და ცხენი, აგრეთვე საუსხო (გასასუქებელი) მსხვილი რქასანი პირუტყვი, სამ- ხრეთის რაიონებში საძოვრულ-ბაგური შოვლა-შენახვისას, წელიწადში 220— 260 დღეს საძოვარზე იმყოფება ხოლმე, ან კიდევ მთელი წლის განმავლო- ბაში (300—350 სასაძოვრო დღე) საძოვარზე იმყოფება. ბაგურ-საძოვრული მოვლა-შენახვის სისტემა შენარჩუნებულია კოლმეურნეობათა ძირითადი მი- წისმფლობელობის ფარგლებში მხოლოდ ინტენსიური შეცხოველებისათვის: მეწველი ფურების ნახირისა (მროწლე) და ღორის კოლტისაფის, შემოვენი- ლი ჯიშბის მაღალპროდუქტიული ცხვრის ფარების და ცხენის კოგებისა- თვის. შენარჩუნებულია აგრეთვე ამ რაიონების იმ ცალკეულ ინტენსიურ მეურნეობებში, რომელთაც, თავიანთი იდგილობრივი პირობების გამა, არა აქვთ შესაძლებლობა გალალვითი მეცხოველეობის წარმოებისა.

ზემოთქმული წარმოადგენს მეტად მოყლე აღნუსხეას იმ ცვლილებებისა, რომლებსაც იღვილი ჰქონდა უკანასკნელ წლებში პირუტყვის მოვლა-შენა-

¹ იბ. Опыт этгенико-пастбищного содержания скота в колхозах. Огиз-Сельхоз- гиз, 1948.



ვის მხრივ იმ რაიონებში, სადაც მეცხოველეობას გალალვითი წესით მისცვებული კავკასიაში მდგრადი მოქალაქეები და საბჭოთა მეურნეობებში სეზონური ხასიათის უზარმაზარი მასივების და აგრეთვე ისეთი საძოვრების ფართო გამოყენებით, რომელთაც მთელი წლის განმავლობაში ტვირთავენ ხოლმე პირუტყვით, დადგენილია მეცხოველეობის წარმომადის ახალი ფორმა.

წინამდებარე წერილისათვის განკუთხნილ ფარგალში, ჩვენ შედარებით ვრცლად, განზრახ შევჩერდით საბჭოთა კავშირის ზოგიერთი რესპუბლიკის ამ მხრივი გამოცდილების მიმოხილვაზე. მას მნიშვნელობა აქვს ამ წერილში მსჯელობას დაქვემდებარებული საკითხის განხილვისათვეს, გამოცდილების გაზიარებისა და ზოგიერთი სეჭირო დაპირისპირების აზრით. მსჯელობის ამ კალაბოტში და გეზის დროს, ჩვენ იმ აზრს ვეყრდნობით, რომ ჩვენში — საქართველოში — ცხვრის ფარების მოვლა-შენახვის ოდიოვე არსებული და დღესაც მნიშვნელობაშენარჩუნებული წესი, რასაც ჩვენ მომთაბარეობას უწოდებთ, პირუტყვის ერთ-ერთ სახეობის გალალვითი ხერხით მოვლა-შენახვის ერთი სახეთაგანია; მაშასადამე, მისი შესწავლა და გამოცენების ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესება, ხეროვნებული სოფიალისტური სოფლის მეურნეობის პოტინაცე ღონის და, კერძოდ, ჩვენი სამშობლოს სასოფლო-სამუშაო ზონების თუ ცალკეულ მეურნეობათა სპეციფიკის შესატყვისად — პარტიისა და ხელისუფლების მიერ ჩვენ წინაშე დაყენებული იმოცნის განუყოფელი ნაწილია.

გალალვით-საძოვრული მეცხოველეობის პრობლებამ საბჭოთა კავშირში საქმიან დიდი ხანია მიიყრო მრავალი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების კურადღება. ამ მუშაობის გასაუმჯობესებლად და სათანადო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ერთიანი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფით, 1943 წელს, საქავშირო მიწათმოშედების სახალხო კომისარიატთა შეიქმნა სამეცნიერო-მეთოდური კომისია. ამ ხნიდან დღემდე წარმოებული მუშაობა შემდეგი მიმართულებითაა: 1. სწავლობენ ზომიერით ძოვების სპეციფიკურ თავისებურებებს გალალვით-საძოვრული მეცხოველეობის სხვადასხვა რაიონში, 2. იდენტიფიკაცია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში მყოფ უმნიშვნელოვანების საკეთ სავარგულეთი მასივებისათვის, 3. პწესებენ ყველაზე უფრო რაიონობლურ ფორმებს გალალვით-საძოვრული მეცხოველეობის ორგანიზაციისათვის, წარმოების სხვადასხვა პირობებში და სხვ. აქ მოსხენებულ საკონტა პირველ ჯგუფთან დაკავშირდებით ჩამოაყალიბეს რამდენიმე პრივატა მეცნიერი მუშაკებისა, რომელთაც აწარმოეს დაკავირვება, თუ როგორ ზომიერობს ხოლმე პირუტყვით მისი გალალვის იდგილებში (შეისწავლეს სხვადასხვა სხევობის, ჯრზის და ჯგუფის ცხოველთა ქცევა საზამთრო საძოვრებზე, ძოვებისა და გალალვის მეცხოველეობის მისი გალალვის იდგილებში შეისწავლაში და წარმოებს აგრეთვე პასპორტაზეც და ინვენტარიზაცია სხვადასხვა სახის სეზონური საძოვრებისა და სიონიბებისა, თანაც ავლენენ მათი გამოყენების ვა-

დებს და პროპორციას სხვადასხვა რესპუბლიკის, ოლქისა და მთანისათვის. ჩატარებული შეეხება გალალვით-საძოვრული მეცხოველეობის ორგანიზაციის კვეთულის უფრო რაციონალურ ფორმის (საკითხთა მესამე ჯგუფი), აქ საჭირო განდაგალალვითი მეცხოველეობის სხვადასხვა ფორმის შესწავლა სხვადასხვა ეპონომიკის და ბუნებრივ პირობებში, პირუტყვის მოვლა-შენახვის ხერხთა დარაიონება, გალალვითი მეცხოველეობის საქმის ორგანიზაციაში ცალკეული ტიპობრივი მეურნეობების გამოცდილების შესწავლა.

როგორც ზემოთხრობილიდან ჩანს, მთელი ამ პრობლემის შესწავლის სქემა საქმიანდ ფართო ფარგლისაა და საქმიანდ რთული, ხოლო თუ გავითვალისწინებთ სიმრავლეს კონკრეტული საკითხებისა, რომელთა შესწავლის გარეშე არ იქნება მიღებული ამომწურავი პასუხი ამ პრობლემაზე—მაშინ, მით უფრო აშკარა გახდება, რომ არამცუ ერთი მეცნიერი მუშავის, ან მეცხოველეობის დარგში მომუშავე ერთი რომელიმე ორგანიზაციის—ვთქვათ, უმაღლესი სასწავლებლის ერთი რომელიმე კათედრის, ან სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ერთი რომელიმე განყოფილების,—არამედ ასეთ ორგანიზაციათა მთელი ჯგუფის კომპლექსური მუშაობაც კი ძნელად ამოსწურავს ამ საკითხს, უკეთუ ორგანიზაციათა ეს ჯგუფი მხოლოდ მეცხოველეობის დარგისა იქნება. ეს საკითხი ფრიად დიდი განზომილებისაა და სახალხო მეურნეობის, კერძოდ კი, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა—მაგრამ შესატყვისი—დარგის მუშავთა ერთობლივი ძალის დაჭიმვაა საჭირო.

შრომის წითელი დროშის ორდენის, პროიას-სახელობის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრის ყოველივე ეს ჰქონდა გათვალისწინებული და მიზნად სრულიად არ დაუსახავს მთელი ამ პრობლემის დაძლევა, როდესაც 1947 წელს თავის სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გეგმაში ჩვენებური ცხვრის მომთაბარეობის ზოგიერთი საკითხის შესწავლა დასახა. ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი ამ მუშაობის თავდაპირველი მიზანდასახულობა ერთგვარად განსხვავებული იყო იმისგან, რა გეზიც მიყცა კათედრის მუშაობას საქართველოს მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ „კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული პირუტყვის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ (1949—1951 წ.)“.

საქართველოში, კერძოდ ცხვრის (როგორც პირუტყვის ერთ-ერთი სახეობის) მომთაბარეობა (როგორც გალალვითი მეცხოველეობის ერთ-ერთი სახე) შევდარებლად უფრო დადი ხსის სტორიის მქონეა, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილ ჩვენს მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც, როგორც დავინახეთ, გალალვითი მეცხოველეობის ორგანიზაცია მტკიცედ და ფართოდ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მეობებით დაიწყო. მაგრამ, მეცხოველეობის დარგში ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ჩამორჩენილობით მეცხოველეობის პრაქტიკული მოთხოვნილებებისაგან და, მრავალ შემთხვევაში, მისი დაბალი თეორიული დონით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ეს საკითხი დღემდე ჯეროვნად მოგვარებული არ არის. ზისი სათანადო შესწავლა—როგორც მი-

თითებულია პარტიისა და მთავრობის დადგენილებაში მეცხოველეობის სამწერლიანი გეგმის შესახებ—და ჯეროვანი გადაწყვეტა, ჩვენი მუშაობაში დადგენი წესრიგის ერთი მთავარი ამოცანათგანია.

არსებობს საფუძველი გულვებისათვის, რომ საქართველოს მეცხოველეობა—მთლიანად სოფლის მეურნეობასთან ერთად—ისტორიულად, ზეგნის ტიბის მეურნეობის განვითარების საწყისა და გზებთან არის დაკავშირებული. განვითარების საწყისის და ზოგადი გზებისა თუ გეგმის ეს ერთიანობა, ცხადია, კონკრეტული უბნების კონკრეტულ გარემოს პირობათა და ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნიანი ისტორიის მანძილზე საწარმოო ძალთა რაობისა და ვითარების ზეგავლენით ამა თუ იმ გარკვეულ ტეიფარს დაიდებდა ამა თუ იმ გარკვეულ უბანში. ამიტომ, რამდენადც საკითხი—გალალვით-საძოვრული მეცხოველეობის ყველაზე უფრო რაციონალური ფორმის დადგენიათან დაკავშირებით—შეიძლება შეეხებოდეს გალალვითი მეცხოველეობის სხვადასხვა ფორმის შესწავლას სხვადასხვა ეკონომიკის და ბუნებრივ პირობებში (რათა სათანადო განსჯისა და განზოგადების საფუძველზე შემუშავებულ იქნება ერთი მთლიანი სისტემა, რომლის თავისებურება ცალკეული კონკრეტული უბნის თავისებურებებით განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის სპეციფიკურ პირობებში), ამდენად, ჩვენ ვფიქრობთ, სათანადო ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს აღწერა მომთაბარეობის ტექნიკური ხერხებისა თუ ილეთებისა—როგორც შესწავლის პირველი ნაბიჯი—ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უბნის მიხედვით.

მსჯელობის ეს გეზი აქვს მიცემული ჭინამდებარე ჭერილს, როგორც მოკლე შინაარსს იმ მუშაობის ერთი ნაწილისა, რომელიც მეცხოველეობის კათედრამ დაიწყო 1947 წლიდან.

მაგრამ მომთაბარეობა არ უნდა იყოს განხილული მხოლოდ როგორც გარკვეული ყაიდა ბუნებრივი საკეთო სავარგულების მეურნეობრივიად სარტყიანი და ორგანიზაციულად სწორი გამოყენებისა. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ჩვენებური ცხვრის მომთაბარეობა, ამავე დროს, მთლიანად ცხვრის ორგანიზმის მემკვიდრულობის და მისი თვისებების, ორგანოების თუ ნიშანთვისებების განვითარებისათვის იმ „საარსებო პირობების“ (იხ. აკად. ლისენკო, „აგრობიოლოგია“; „გარკვეული განსახიერებაა, რომლებიც ჩვენებური ცხვრის „საარსებო გარემოში“ (იხ. აკად. ლისენკო „აგრობიოლოგია“) აპირობებს მის ჯიშმბრივ რაობას.

„მცენარეთა მიერ სიცოცხლის სათანადო პირობათა მოთხოვნა როდი არის მათი უნი და უხიაკობა; მცენარის სიცოცხლისა და განვითარებისათვის პირობათა მოთხოვნილება წარმოადგენს ბუნებრივ, მეტვიდრულ თვისებას, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა მოცემული ცოცხალი სხეულის განვითარების პროცესში. მცენარეული ორგანიზმების ბუნება, მემკვიდრულობა აპირობებს სწორედ გარემოს ამა თუ იმ პირობის არსებობას იმისათვის, რომ მოცემული მცენარე ნორმალურად გარემოს მოგვცეს უდიდესი, საუკეთესო მოსავალი.“

ვიდრე აგროტექნიკის საშუალებით მოსაშენებელი მცენარისათვის საჭირო პირობებს შევქმნიდეთ, უნდა ვიცოდეთ როდის და როგორ პირობებს



მოითხოვს მოცემული მცენარის მემკვიდრულობა მისი განვითარებისათვის საერთოდ, განსაკუთრებით კი მოსავლის მომცემი ორგანოებისა და ნაწილების განვითარებისათვის.

იქნან ნათელია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მცენარის ბუნებრივი, მემკვიდრული მოთხოვნილებების ცოდნა სოფლის მეურნეობის მეცნიერების იმ უდიდესი დარგისათვის, რომელსაც აგროტექნიკა ეწოდება¹...

ეს ამონაშერი აქ იმ მიზნითაა მოტანილი, რომ მივითოთოს მსჯელობის გზი, რომელსაც უჩდა გაგვივთ ჩვენებური ცხვრის მომთაბარეობის განსჯისას, აგრეთვე იმ თვილსაზრისით, თუ როგორ და რამდენად შეიძლება წარმოადგენდეს ის—როგორც გარევეული „აგროტექნიკური ხერხი“—იმ გარემოს ანალიზის საშუალებას, სადაც ყალიბდებოდა ჩვენებური ცხვარი თვისი მეურნეობრივად სასარგებლო და სხვა, ზოგადი, თვისებებით. ხოლო ცოტა ქვემოთ განხილული ზოგიერთი მომენტი, ჩვენის აზრით, საკმარისი თვალსაჩინოებით დაგვიდასტურებს, რომ ჩვენი მეცხვარეობის ხანგრძლივ პრაქტიკაში მოიპოვება ფაქტები, რომლებიც ამართლებს მცენარეებზე წარმოებული დაკვირვებიდან და მცენარეთა ბუნების განსჯიდან გამოტანილი ამ დასკვნის მიყენებას ცხოველის ორგანიზმისთვისაც. ამრიგად, წინამდებარე წერილის მიზანდასახულობიდან გამომდინარე სათანადო აღწერისას, ჩვენ არც ამ თვალსაზრისს დავივიწყებთ.

* * *

ამ წერილისათვის გამოყენებულია ცნობები, რომელთა ამოკრეფის საშუალება მოგვცა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების მიერ 1946, 1947 და 1948 წელთა გამაგლობაში წარმოებული საექსპედიციო გამოკვლევებით მოპოვებული მდიდარი და საინტერესო მასალიდან ხსნებული განყოფილების გამგემ, პროფესორმა-ლოქტორმა გ. ჩიტაიამ. მასალა შეცროვილია ამავე განყოფილების მეცნიერი მუშაკის ა. კაცაძის მიერ.

ეს ქსპედიციამ გამოიყვლია შემდეგი სოფლები: სეთურები, მულურე, ბეგოთვარი, ბეგოთი, წინამხარი, ხამუშა (ხანდო), ჭოპორტი, ბაზალეთი, ვარსიმაანთ კარი, ქვემო ჩინთი, ზემო აში, ქვემო აში, გრემის ხევი, სამება, ზოდეხი, ერედა, ნაოზა, დადანეთი, ქარჩხი, ლარგვისი, მოჭალიეთი, ბაგლიანი, შუა ალევი, წირქოლი, ქვემო ქალა, ქვემო ცხილონი, წერე, გვადაჭე, ღუმაცხო, ყვავილო, ბიჭმილი, აფში, ცხავათი, ბიჟამი, ჯაღმიანი, ღუშეთი, ოძისი, ქსოვრისი, ლაზეგისი, საბეგური, კორინთი—სულ 41 სოფელი; ანალიზებულია 326 ჩანაწერი.

მასალის გადამუშავებაში და მთლიანად იმ მუშაობის შესრულებაში, რომლის ერთ-ერთი ნაწილის მოკლე შინაარსს წარმოადგენს წინამდებარე წერილი, საგრძნობლად გვამხნევებდა და ხელს გვიწყობდა ყურადღება და

¹ Т. Д. Лисенков—Агробиология. Огиз-Сельхозгиз, 1948

დახმარება, რომელიც კათედრის მიმართ გამოიჩინეს ინსტიტუტის დირექტორის რის მთადგილებ სამეცნიერო დარგში პროფესორმა-დოქტორმა ი. ჯუშავაშვილი აგრონომიული ფაკულტეტის დეკანმა დოცენტმა ნ. ლაშევბიანმა.

* * *

მომთაბარეობის რაობის განსჯაში აგრეთვე იმ ელემენტის ჩართვისას, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვას, თუ როგორი შეიძლება იყოს ცხვრის ორგანიზმის და მისი გარემოს ურთიერთობის შედეგი, სრულიად ბუნებრივია პირველ რიგში იმის განხილვაც, თუ როგორია სათანადო უბანში მომთაბარე ცხრის ჯიშობრივი შედგენილობა.

ამ კითხვაზე ყველა მთხოვბელი, რომელთა ნათქვამი ექსპედიციის მასალებში ჩანაწერებად მოიპოვება, საქმაოდ გარკვეულ პასუხს გვაძლევს და ამ პასუხებში ბევრი რამ გვხვდება ისეთიც, რომელმაც ზოოტექნიკოსი უნდა დააფიქროს, მისი ყურადღება გარკვეულ მხარეზე წარმართოს. ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ჯერ არ მოიპოვება იმ თვალსაზრისით საგანგებოდ წარმოებული გამოკვლევები, რომელთა ზოგადი, მაგრამ საქმაოდ მკაფიო კონტურის მომცემია ამ მთხოვბელთა—პრაქტიკის ადამიანთა—დაკვირვებანი.

საქმე იმაშია, სახელდობრ, რომ გარდა „კუდიანი რუსული ცხორისა“, რომელიც „უწინ არ იყო, ზავოდით მორკეს, მატყლი უკეთესი აქვის, არ ძლებს“ და გარდა „შავნაი თსური ცხორისა“, რომელიც „საქუდეთ არის კარგი, დიდი ღუმა და გრძელი რიკები აქვის“ (მთხოვბელი ანდრო შიოს ძე სეთურიძე, 70 წლისა, სოფ. სეთურები) — აქ „ძველად სულ თუშური (ქართული) ცხორი“ ყოფილა (მთხოვბელი ბაგლე მოსეს ძე სეთურიძე, 60 წლისა, სოფ. სეთურები). „ძველათ ქართული ცხორი იყო, სხვა ჯიშისა არაფერი იყო წინათ“, გვიდასტურებს ნიკო მათეს ძე ზაქაიძეც, 40 წლისა, სოფ. ბეგოთიძან. „ჩვენ ცხვარს ვეძახდით ქართულს, იგივე თუშურია. სხვა ჯიშის ცხვარი მველადაც არ გვყოლია“, დაასკვინის სანდრო მინას ძე დორეული, 67 წლისა, სოფ. ბაზალეთიძან და ნიკა ივანეს ძე ვარსიმაშვილიც, სოფ. ვარსიმანან კარიძან, 78 წლისა უდასტურებს, რომ „ჩვენში ძველათ ქართული ცხვარი იყო გავრცელებული“. „ჩვენ ქართული ცხვარი გვყავს, მიღდებმჩი სხვანაირი ცხვარი ირგვეოლია“ — გვარწმუნებს დათა ქიტის ძე რაზმაძე, 67 წლისა, სოფ. ჭიბიძორტიძან, ქოლო ბესო გიორგის ძე ქარქუსაშვილიც, 80 წლისა, სოფელ გრემის ხევიძან, მას მხარს უჭერს: „ძველათ და ახლაც ქართული ჯიშის ცხვარია ჩვენში, ჩვენ მამა-პაპას ცხვარი რო ჰყავდა, ახლაც ისა გვყავს“. „ჩვენ ქართული ცხვარი გვყავდა, სხვა ცხვარს არ გაუურევდით“ — გვიმტკიცებს გაბო ალექსის ძე თეზელაშვილი, 67 წლისა, სოფ. ერედადან და იმას მხარს უჭერენ ლექსო გიორგის ძე ბერიანიძე, 64 წლისა, სოფ. დადიანეთიძან („ჩვენი ცხვარი ქართულია“), ვანო ნიკოს ძე ბალაშვილი, 75 წლისა, სოფ. ქვემო ჭალიძან („წინათ ქართული, თუშური ცხვარი გვყანდა, ახლაც ის არია“), ვანო სანდროს ძე მეგრელიშვილი, 50 წლისა, სოფ. წირქოლიძან („ჩვენში ქართული, თუშური ცხვარია“) და სხვებიც.

ასეთი ამონაშერები საკმაოდ დიდი რაოდენობით მოგვეპოვება ჰქონია ეს ამონაშერი იმას ძაღლურებს, რომ ძირითადი მასივი ცხვრის ჯიშობრივ შედგენილობაში ჩვენებური „ქართული“ ცხვარი ყოფილი და ის, როგორც ზემოთ დავინახეთ, ხშირ შემთხვევაში „თუშურთან“ არის ხოლმე გააგივებული. ცოტა ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ ეს გაიგივება ყოველი ცალკე შემთხვევისათვის სწორი არ უნდა იყოს; მაგრამ ამ ადგილას ჩვენ მათ, ჯერჯერობით, არ განვასხვავებთ, რადგან ჩვენი მიზანია ხაზი გავუსვათ, რომ ალბათ, შემთხვევით ხასიათს ატარებდა და მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო ამ „ქართული“ ცხვრის მასივში „ლეგური ცხორი“, რომელიც „შავი ცხვრი იყო, როგორც მეტისს აქვს, ისეთი მატყლი ჰქონდა, კუდიანი იყო, თაორულ ცხორსა ჰგავდა, ბრტყელი დუბა ჰქონდა“ (მთხრობელი ვანო სეთურიძე, 43 წლისა, სოფ. სეთურები), ან კიდევ: „ოსური, ქისტური ჯიშის ცხვრები“, რომელთაგან „ოსური მსხვილი ცხორი იყო, უმატყლო, ტყავი იმისი სჯობდა, ქუდისათვისაც კარგი იყო“ (მთხრობელი გიორგი სვიმონის ძე ზაქაძე, 70 წლისა, სოფ. ბეგოთვარი). შედარებით უფრო გვიანი ღროის ამბავია ის, რომ „ახლა მეტისიც არის, უდაბნოდან მივიღეთ 1931 წ. კულიანი ცხური მოგვცეს რუსეთიდან, მაგრამ ვერ გასძლის აქ“ (მთხრობელი პავლე მოსეს ძე სეთურიძე, 60 წლისა, სოფ. სეთურები). ყველა ეს „დანარჩენი ჯიშები მერე შამოვიდა, შიმშილი ვერ შასძლო, ვერც სიარული. ახლა იშვიათად არიან შამოსული ჯიშები. ათასში ერთი აღარ არის“ (მთხრობელი მოსე სინას ძე წამალაძე, 77 წლისა, სოფ. მულურე).

იმ გარემოებას, რომ მსჯელობას დაქვემდებარებულ სოფლებსა და უბანში მთლიანად „ქართული“ ცხვარი ყოფილა ძელთაგანვე ფართოდ გავრცელებული და ის ცხვრის სულადობის ძირითად მასივს წარმოადგენდა და წარმოადგენს, სხვა გარემოებათა მთელ წყებასთან ერთად ყურადსალები მნიშვნელობა აქვს საკითხთა მთელი რიგისათვის, რომლებიც ჩვენებური ცხვრის ჯიშობრივი ისტორიისათვისაა, უწინარეს ყოვლისა, საინტერესო და რომელთა შესახებ აქ ლაპარაკი, წინამდებარე წერილის მიზანდასახულობისა და მისთვის განკუთვნილი მოცულობიდან გამომდინარე არაა შესაძლებელი.

მაგრამ ის გარემოება, რომ მიუხედავად „ქართული“ და „თუშური“ ცხვრის საკმაოდ ხშირი გაიგივებისა, მთხრობელთა საგრძნობი ნაწილი, უწინარეს ყოვლისა კი, უფრო ხნიერი მთხრობელები—მაინც განასხვავებენ ამ ცხვარს, ჩვენს ყურადღებას არ უნდა ასცდეს ამ წერილში.

დათა ქიტოს ძე რაზმაძე, 67 წლისა, სოფ. ჭობორტიდან მეტად აშკარად და დარწმუნებით მოგვითხრობს: „ჩეკე ქართული ცხვარი გვყარს, მიღლემში სხვანაირი ცხვარი არ გვყოლია. ტყის ცხვარს ვეტყვით ჩვენსას, ხამთრობით აქა ვავებავთ, საუკეთესოდ იკვებება, ტყებმ არ იყვლიფება. ოცში ერთი გაიყვლიფოს იშვიათია. ტყეში, ჯაგებში დაგვიდის ცხვარი, რო გაიყვლიფოს იმას არ დავაყენებთ, ან დავკლავთ, ან გაყიდით. ჭობორტის საძოვარი ჰყოფნის ჩვენ ცხვარს, ცოტა გვყავს“ (ჩაწერილია 1947 წლის ივლისის 11-ს).

მიხა ზურაბის ძე ლომიშვილი, 76 წლისა, სოფ. ჩინთიდან, მოგვითხრობს: „ჩვენში ორივე ჯიშის ცხვარი იყო: ქართული და თუშური. ქართული ცოტა

ქართული უფრო მატებულიანი, სხვაფრივ არ იყო განსხვავდებოდა ქართულ ცხვარს ვინც ტყეში აყენებდა, არ იყვლითებოდა, დაბალი მატებული ჰქონდა, თუშური იყვლითებოდა. აქაური ხალხი დაბალმატებულიანს ეტანებოდა, ტყეში თავს გაიტანსო, მატებულს ინარჩუნებდა” (ჩაწერილია 1947 წლის აგვისტოს 15-ს).

სანდრო გაბრიელის ქ ფრიდონაშვილი, 64 წლისა, სოფელ ზემო აში-დან, მოგვითხრობს: „ძველად, როგორც მთა-შითი უფლეთის ცხვარი, ისეთი იყო ჩვენიც. ახლა თუშური დაერქეა. ახლა გადაჯიშდა. ქართულს უფრო დაბალი მატებული ჰქონდა, მთიულურს—უფრო მაღალი... ჩვენ დაბალსა და მდიდარ-მატებულიანს ვაჯიშებთ. ტყეში და ჯაგებში დადაოდა ჩვენი ცხვარი, დაბალი მატებული რომ ჰქონდა არ იყვლითებოდა. გრძელმატებულიანი ჩქარა იყვლითებოდა” (ჩაწერილია 1947 წლის აგვისტოს 13-ს).

მიხა იოსების ქ ყარმაზანშვილის (70 წლისა, სოფ. ქვემო აშიდან) შეხედულება ამ საკითხის შესახებ არ განსხვავდება ზემოთ დასახელებულთა მსჯელობისაგან: „ჩვენში ძველად ქართული ცხვარი იყო. თუშურს უფრო სშირი, არც ისე გრძელი მატებული აქვს. ჩვენი მატებული თავკვერჩა, მაღალი არ იზრდება, საყვლეფავი არ არის, ბურიანია. მთიულეთში ქართული ცხვარი იყო, მაგრამ უფრო გრძელი მატებული ჰქონდა, ტყეში თუ მაპხვდებოდა, მალე გაიყვლითებოდა, სხეაფრივ ერთნაირები იყვნენ. ფშავები უფრო თუშური ცხვარი იყო გავრცელებული, გაღაჯიშებული, იმიტომ რომ შირაქისაკენ დადიოდნენ. ქსნის ცხვარს ჩვენ ცხვარზე უფრო წმინდა, უფრო დაბალი მატებული ჰქონდა. ჩვენ ცოტ-ცოტა ცხვარი ვყვავდა და ზამთარში აქ გვადგა. ჩვენი ცხვარიც იყვლითებოდა ტყეში, მაგრამ უფრო უძლებდა. მთიულეთის ცხვარი კი სულ იყვლითებოდა” (ჩაწერილია 1947 წლის აგვისტოს 19-ს).

მოხსენებულისაგან შინაარსით არ განსხვავდება და, თითქოს, ერთგვარად დამატებითს განმარტებას წარმოადგენს არტო იოსების ქ პატუკაშვილის (43 წლისა, სოფელ გრემის ხევიდან) ნათებებით: „ჩვენში ქართული ცხვარი არი, თუშური სხვაა. ქართულ ცხვარს რბილი და მოკლე, თავკვერი მატებული აქვს, თუშურს—გრძელი, როგორც თხას. მთიულური ნარევი ცხვარია, თითქოს ისიც ისე ქართული ცხვარია. მთიულურს თხელი, მსხვილი და გრძელი მატებული აქვს. ჩვენ თუშურ ცხვარს არ ვიყენებთ, ჩვენი მატებული სჯობია იმისას, ცხვარიც უფრო ღუმიანია. ძველად სუ ტყეში დაგვიდიოდა ზამთრობით ცხვარი. ეს ორი წელიწადია ყიზლარში დაგვიდის” (ჩაწერილია 1947 წლის აგვისტოს 21-ს).

ვასო ალექსის ქ ოდიშვილის (48 წლისა, სოფ. სოდეხიდან, მაგრამ ოძისში ჩამოსახლებული ზედსიძის) თქმით: „ჩვენ ცხვარს ქართულს ვეძახით, ისეთივეა როგორც თუშური, მატებულშია განსხვავება. ჩვენი მატებული ან ფამფარია ან თავკვერი. იმათი სხვანაირია. თავკვერი კარგი მატებულია, რბილია; ფამფარიანი თხის ბალანივით არის, მესამენაირია—ქასმენი, მშრალი მატებულია, ფონჩივით. ჩვენ უფრო ფამფარას ვაჯიშებთ, რომ სიმაგრე ჰქონიყო. ჯაგებში დაგვიდიოდა და არ გაყვლელიყო” (ჩაწერილია 1947 წლის სექტემბრის 2-ს).

გაბო ალექსის ქ თეზელაშვილი (67 წლისა, სოფ. ერედადან) ასეთ უცნობო გამოსხვამს: „ჩვენ ქართული ცხვარი გვყავდა, სხვა ცხვარს არ გაუკრევდით. მთიულების ხეთი ცხვრის მატყულს ჩვენი ორი ცხვრისა სჯობდა. იმათი მინდვრის მატყული მაგარია თხის ბეჭვიერი. ჩვენი ბამბასავით არის, რბილია: ქსნისა კიდევ უკეთესია... ჩვენი მატყული სხვანაირი იყო, ფამფარა, ბუდიანი, თავ-კვერი. ფამფარა მატყულს ჯინჯალიანი, გრძელი და თხელი ბეჭვი აქვს. ჩვენ უფრო თავკვერს ვაჯიშებდით, ჯავებში ნაკლებად იყვლიფებოდა. მთიულური რო ხამად მოხვედრილიყო აქა, იყვლიფებოდა“ (ჩაწერილია 1947 წლის სექტემბრის 7-ს).

ქართული ცხვრის უპირატესობას ტყეში შენახვისას ხახს უსვამს აგრეთვე სანდრო ფალროს ქ ჩილოშვილი (57 წლისა, სოფელ ნაოზადან): „აქაურ ცხვარს ქართულს ვეძახით; ქართული ცხვრის მატყული კარგია. ტყეში რო მირეკო — ინახამს, მაგარი მატყული აქვს, არ იყვლიფება. თუშურს რბილი მატყული აქვს, ტყეში იყვლიფება, ნაკლებიც გამოდის“ (ჩაწერილია 1947 წლის სექტემბრის 10-ს). *

ამრიგად, ცხვრის მთელ იმ მასიეში, რომლის შენახვა აქ მსჯელობას დაქვემდებარებული სოფლების და მთლიანად უბნის მიერ გალალვითი წესით (სახელდობრ კი მომთაბარე ილეთით) წარმოებდა და რომელიც წარმოშობით (როგორც გარკვეული სისტემაზე ჯუფი შინაური ცხოველისა) თუ ერთნაირი არა, ყოველ შემთხვევაში ახლო მონათესავე მაინც არის, განსხვავებულია, უწინარეს ყოვლისა, ქართული ცხვარი თუშური ცხვრისაგან და აგრეთვე, ალბათ, რამდენიმე გარდამავალი საფეხური, რომელთა შორის მთიულური ცხვარი და ქსნის ცხვარი პირველ რიგში უნდა იყოს წამოშეული. გარდა ამისა, ამ ერთმეორისაგან განსხვავებული ჯგუფების განმასხვავებელ ნიშნად, როგორც მთხრობელთა ნაამბობიდან ჩანს, წინწამოშეული უნდა იყოს „მატყულის გაულენფის“ (გაღვევეის) მოვლენა და წყება სხვა ნიშანთვისებებისა, რომლითაც მატყული, როგორც პროდუქტი, ხასიათდება.

ამ მასალათა მიხედვით, „ქართული“ ცხვრის მატყული, ყველა მთხრობლის თქმით, უკეთესი ყოფილა; ამათში ზოგი: „მატყულით რბილია. რომელიც ძირმბილია, კაი ზალი გამოდის, ამას ძირთა მატყულიც ჰქვია, არის კიდევ მშრალმატყულა, ირმის ბეჭვის მაგვარი. არის კიდევ კვირტა, დაბალია, ქოსა მატყულია, მოკლე მატყულია. კიდევ ფამფარა მატყულია, გრძელი ბეჭვი აქვის. გრძელი რომელიც არის ბარჭო ჰქვია, თბილია, კვირტი მოკლეა“ (მთხრობელი ნინიკა დავითის ქ მელიქიშვილი, 39 წლისა, სოფელ წინამხრიდან). სანდრო მიხას ქ დორეული (67 წლისა, სოფ. ზაზალეთიდან) ამ ცხვრის მატყულის დახასიათებისას ხახს, უსვამს: „ჩვენ ცხვარს ორი თარილის მატყული აქვს: ხშირ-ბეჭვა და თხელბეჭვა“, ხოლო ნიკა ივანქს ქ ვარსიმაშვილის (78 წლისა, სოფელ ვარსიმაშვილთა კარიდან) თქმით, „ზოგ ცხვარს აქვს ფამფარა მატყული, როგორც თხისა ისეთია; ეს მატყული გრძელი და თხელია. ქორბულიან მატყულს თივთივივით აქვს ძირი, წვერები თხი ბაღანივით აქვს და ძირი სქლად. მესამე არის დაბალმატყულიანი, რბილმატყულიანი“. ეს ქართული ცხვარი რომ ქოსამატყულიანია, ამას მიხა ზურაბის ქ ლომიშვილიც (67 წლისა, სოფელ

ქვემო ჩინთილან) აღასტურებს. ამ მატყულის დახასიათებაში სიდაბლეს ("დაბალი მატყული") და ბუდიანობას, ბამბისებრ სირბილეს სანდრო გაბრიელის ძე ფრიდონ შვილიც (64 წლისა, სოფ. ზემო აშიდან) აღნიშნავს და მიხა იოსების ძე ყარმაზანაშვილიც (70 წლისა, სოფ. ზემო აშიდან) უსუაშის ხაზს: „ჩევნი მატყული თავკვერია, მაღლი არ იზრდება, ბუდიანია“. ქართული ცხვრის რბილი და მოკლე, თავკვერი მატყულის არსებობა მითითებული აქვს არტო იოსების ძე პაპუაშვილს (43 წლისა, სოფელ გრემის ხევიდან), ხოლო რომ ქართულ ცხვარს ორნაირი მატყული აქვს, ფამფარა და თავკვერი, მოკლე, ხოგი რომ „რბილი“ გამოდის, ზოგი „მშრალი“—ამაზე ვანო ბავლეს ძე მიშელაშვილიც (60 წლისა, სოფ. გრემის ხევიდან) ლაპარაკობს. ქართული ცხვარი რომ სჯობია მატყულით—„როგორც ბამბა, ისეთია“—მას რომ რბილი მატყული აქვს, ის უამფარა მატყულიანია, ზოგი კი კვირტმატყულიანია—ამას ერთხმად აღასტურებენ გენო ილიკოს ძე ხუბულური (48 წლისა, სოფელ პავლიანიდან), კოლა დავითის ძე თინიკაშვილი (70 წლისა, სოფელ პავლიანიდან) და სხვებიც.

ადვილი მისახვედრია, რომ მატყულის დახასიათებლად ხარებულ ამ სახელწოდებებს ჩევნ აქ თანამედროვე მატყულისმცოდნეობის თვალსაზრისით და მისი ტერმინოლოგიით ვერ განვიხილავთ და ვერ აღვინიშნავთ. საამისოდ სპეციალური გამოკვლევა საჭირო, ობიექტური მეთოდით, იმ ნიმუშებისა ცალ-ცალკე, რომელთაც ჩევნი პრაქტიკოსები სუბიექტური მეთოდით ერთი-მეორისაგან განასხვავებენ. მეტად ადვილი შესაძლებელია, რომ ამ თვალსაზრისით მკვეთრად გამიჯნული ჯუფუფების დადგენა არც კი გახდეს შესაძლებელი. თვითონ ამ პრაქტიკოსების მონაცემებით, ფამფარამატყულიანი (როგორც გარევეული სორტიმენტი მატყულისა) გრძელებწვა, დაგრუზული, დახუჭუჭებული, ბუდიანი, ქოსა, თავკვერი იმ ცხვარშიც გვხვდება, რომელსაც მოსახლეობა აქ „თუშურს“ უწოდებს და, როგორც დავინახეთ, „ქართულისაგან“ განასხვავებს (მთხოობები, ვანო მიხას ძე მიდელაშვილი, 67 წლისა, სოფ. ქართხინიდან, ზურაბ შილეს ძე მიდელაშვილი, 55 წლისა, იმავე სოფლიდან, დათიკო მიხას ძე ქენქაძე, 40 წლისა, სოფ. ლარგვისიდან, ნანო ალექსის ძე-მარტიაშვილი, 38 წლისა, იმავე სოფლიდან და მრავალი სხვ.). მაგრამ საკითხი აქ მატყულის, როგორც ცხვრის ჯიშაბრივად დამსხასიათებელი ნიშანთვისებების, შემაღებენ ელემენტებს კი არ შეეხება, არამედ ცხვრის ორგანიზმის მეორე თვისების, „გაყვლეულის“ უნარს, რომელიც, როგორც ჩანს, ამ მეურნეთა ყურადღების ცენტრში მფგარა, სრულიად გარევეულ მაზეზთა გამო. რაოდენ ყურადღსალებია მატყულის „გაყვლეულა“ (გაღვერვა) წმინდა მეურნეობრივი სარტყიანობის თვალსაზრისით, ამის ილუსტრაცია შესაძლებელია რამდენიმე ციფრით, რომელიც დოც. ი. მოსაშვილს დაუდგენია ცხვრის მომთაბარეობის შესწავლისას წითელწყაროს რაიონის სოფ. არხილოს კალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ცერმაში. მისი მონაცემებით, თუშური ცხვრის ნერბი გაზაფხულზე მთისკენ მგზავრობისას, საშუალო 315 გრამ მატყულს ჰკარგავს, ხოლო ნაჯვარი ნერბი—120 გრამს. დანაკარგის უდიდესი ნაწილი სწორედ ჯავნარ საძოვრებზე ბალახობისა და მგზავრობის დროს ტყიანი გადასასვლელების (ბედენი) გავლისას მატყულის გაყვლეულის შედეგია.



ადვილი ჭარმოსადგენია, რომ მეურნეობაში ცხვრის სულალობის მიხედვით უძინული დანაკლისი თვალსაჩინო შეიძლება იყოს. თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთ გარემოებას, რომელიც აქ მსჯელობას დაქვემდებარებულ უბანში ცხვრის გალავითი წესით შენახებსთან ყოფილა დაკავშირებული და რომელზედაც ცოტა ქვემოთ გვექნება - ლაპარაკი—მაშინ, სრულიად ადვილი გასაგები გახდება, თუ მატყლის გაყვლელისათვის რატომ მიუკუთხნებია მოსახლეობას ესოდენ დიდი მნიშვნელობა და რატომ გამხდარა ეს ნიშანოვისება, როგორც ჩანს, გარკული სახელმწიონ ნიშანი.

* * *

ახლახანს აღნიშნული საკითხის განხილვა უშუალოდაა დაკავშირებული ცხვრის მოვლა-კვების და, უწინარეს ყოვლისა, ზამთრობით კვების ცოდნასთან.

როგორც დაგინახეთ, ყველაზე უფრო მკაფიოდ სოფ. ჭობორტის მცხოვრები 67 წლის დათა ქიტის ძე რაზმადე აღნიშნავს: „ჩვენ ქართული ცხვარი გვყეს, მიღლებში სხვანაირი ცხვარი არ გვყოლია, ტყის ცხვარს ვეტყვით ჩვენსას“. ეს ცხვარი ტყისა იმიტომ არის, რომ „ზამთრობით აქა ვკვებავთ, საუკეთესოდ იკვებება, ტყეში არ იყვლითვება“. ამ ცხვრის შერჩევაც სწორედ ამ მიმართულებისაა: „რო გაიყვლითოს, არ დავაყენებოთ, ან დაგვლავთ, ან გაუკრდით“ და, როგორც ჩანს, ამ გეზით შერჩევას გარკვეული შედეგაც გამოიყოფა: „ოცში ერთი გაიყვლითოს, იშვიათია“. სოფელ ჭობორტას, როგორც ჩანს, ცხვარი მცირედ ჰყოლია: „ჭობორტის საძოვარი ჰყოფნის ჩვენ ცხვარს“ და, ამდენად, ზამთრობით კვების ეს წესი—ტყეში ბალაზობა—ცხვრის აქაური ფარებისათვის ძირითადად უნდა იყოს მიჩნეული. მაგრამ, სოფელ ჭობორტის გარდა, გიორგი ქარაულისა და სანდრო ფრიდონაშვილის მოწმობით, სოფელ ზემო აშის ცხვარიც ზამთრობით, კვების ამ რეჟიმშე იმყოფებოდა. ცოტა უფრო დაშვრილებით (კნობებს კვების ამ რეჟიმის შესახებ ქვემოთ მოვისმენთ, ხოლო აქ უნდა აღინიშნოს, რომ „თხასა და ცხვარს ეკლიანი ნარი ძალიან საქმეს უშვება, მითო იკვებებან“) (გიორგი ქარაული, სანდრო ფრიდონაშვილი). ვანო ფიცხელაურიც (იმავე სოფლიდან) აღასტურებს: „ხშირად, ცხვარი ზამთარში აქ გვეყენა. იშვიათათ თივას ვაჭმევდით, ერთი ან ორი კვირა, სოფლის საძოვრებზე ტყებში დაგვიდიოდა, მხელ ნეკერსა სკამდა“. და, თურმე, ცხვარი ზამთრობით სდგომიათ საგურამოშიც, მისაქციელშიც და ჭობორტშიც, ე. ი. იქ, სადაც სწორედ ტყის ცხვრის არსებობას ვკიდასტურებენ. მიხა ლომიშვილის თქმით, სოფელ ქვემო ჩინთის ცხვარი, გარდა შირაქში მიმავალი ნაწილისა, „ზამთარში აქაც გვედგა. ჩვენში ტყეებია, ჯაგებია. ცხვარს ვაძმებდით ჩვენს ალაგებში“. სოფელ ქვემო აშის ცხვარი, როგორც მიხა ყარმაზანაშვილი მოგვითხოვთ, ზამთრობით ადგილობრივ ტყე-მინდორში დადიოდა: „ჩვენ ცოტ-ცოტა ცხვარი გვყავდა და ზამთრობით აქ გვედგა... სოფლის მინდვრებია, საცა ცხვარი სძოვდა ზამთარში ქერანა... მჭადაურა; ტყეშიც დაგვიდიოდა: მცხარე, თელახო, სასარე, მუხრანაული“. სოფელ გრძელი ხევის მცხოვრები ვანო მიშელაშვილი გვაუწყებს: „ზამთრობით ჩვენი ცხვარი გრემის ხევში იდგა“—„ზამთარში ტყეში დაგვიდიოდა ცხვარი“ და იმავე



სოფულის მცხოვრები ბესო ქარქუსაშვილიც კვერს უტრავს: „ზამთარში მდინარეები ცოტა გვყავდა, 60—80 სული, აქ გვედგა, მერე რომ შეეძარა, 21 წელს წერილი ნარევავზე მედგა, მცხეთის ზემოლანი“. გამო თეზელაშვილი, სოფელ ერედას მცხოვრები გვიამბობს: „ზამთარში აქა გვყვანდა ცხვარი“ და „ზამთარში თივა-საც ვაჭმელით, თუ დასტირდებოდა“, ისე კი „მუხისა და იუნის ფოთოლს ვაჭმელით“. ასევე სოფელ ნაოზას მცხოვრები სანდრო ჩილოშვილი გვუ-წყებს: „ძვირადაც და ახლაც ცხვარი ზამთარში აქა გვყავს. მინდორი ახლა აქ სუ იხვნება, ცხვარი ტყეში დადის“... ამ ცნობებს კიდევ სხვა მთხოობელებიც ადასტურებენ. ჩვენ აქ ხაზიასმული სოფლები იმიტომ დაგასახელეთ, რომ „ქართული“ ცხვრის განსაკუთრებული ჯგუფის არსებობას სწო-რედ ამ სოფლებში მოურეფილი ცნობები ადასტურებს და, როგორც დაეინახეთ, აქაური ცხვრის ზამთრობით შენახვა-კვების არ ტყიანი ადგი-ლები ყოფილა. ამ ტყებში და ჯაგებში არ იყვლითებოდა ცხვარი, რომელსაც, აღბათ, ამ ნიშნის მიხედვით საგანგებოდ შეარჩევდნენ და, აღბათ, აქედან წარმოიქმნა მისი მეორე სახელწოდებაც—ტყის ცხვარი.

ეს ცხვარი მართლაც „ტყისა“ ყოფილა, რაღან, როგორც მთხოობელთა ნააშობიდან ჩანს, ძირითად საკვებ საშუალების სწორედ ტყის ანარჩენები წარმოადგენდა. ასე, მაგალითად, „ფოთოლს ვაჭმელით იუნისას, თელისას, რცხილისას, ნეკერჩელისას. ხის ფოთოლს მოვერილით მარიამბისთვეში, ფე-რიცვალობაზე, ფერი იცვალა, აღარც წვიმა გააცუჭებს, აღარც სხვა რამე. ერთმანეთზე დაწყებულიდით, მერე ზამთარში ცხვარს ვაჭმელით“ (სოფ. ზემო აში, გიორგი ქარაული, სანდრო ფრიდონაშვილი). „ზამთარში თუ დიდი თოვ-ლი მოდიოდა, თივით გასაზრდოებით ცხვარს, თუ არა, თავის პირით გამო-დიოდა, ნარსა სჭამდა, ფეხით გამოქვექმნს. ამ თვეში (ლაპარაკია აგვისტოზე—დ. ა.) ვიცოდით ხეს გავეაფამდით, ზედე ხეზე დავდებდით, მწვანედ ინახებო-და. ზამთარში ცხვარს მივრეკაშდით და სჭამდა ფოთოლს. ფოთოლი იყო მუ-ხისა, თელისა; იუნისა. ფოთოლი თივაზე საღი იყო. ხმელ ნეკერსაც სჭამდა“ (სოფ. ქვემო აში, მახა ყარაჭანაშვილი). „....აქევე ფოთოლს ვჭრიდით, ხეზე ვაწყობდით; როცა თოვლი მოვიდოდა ტყეში გავრეკაშდით ცხვარს, ფოთოლს ჩამოჟყურიდით, თოთონაც სჭამდა გამხმარ ნეკერს. ტყეში ფოთოლს ენკენისთვეში მოვჭრით, გახმება, შიგნით ისევ მწვანე რჩება... არა ხდება ამი ჭამაზე, ძღება კი. საჭმელად მუხის ფოთოლი სჭობია. ბარაჭიანია, არცა სცევა, მაგარია, თელისა და რცხილის ფოთოლსაც ვაჭმევთ“ (ვანო მიშელაშვილი, სოფელი გრემის ხევი). „....ფოთოლს ვაჭმევთ. ფოთოლი ამ თვეში (ლაპარაკია აგვის-ტოზე, დ. ა.) უნდა დავამზადოთ, რო მწვანედ ჩაიდოს. წალდა წავიღებთ თაურის ტყეში, სხვაგანაც, უფრო ხშირად ფოთოლს დიდ ახოებში ვაკეთებთ, მუხა არი იქა და ახლოც არი. ორჯე ხეზე, იმავე ხეზე, დავვაფუძოთ და ჩავ-დებთ ტოტებს. ერთ ხეში ერთი მარხილი უნდა ჩაიდოს. იანვრამდე, თებერვ-ლიამდე შავინახავთ. ცუდ ამინდში მოვიტანთ მარხილით, ზურგით. ზოგჯერ თუ ახლოა, გადარევავნ, თოვლს გადაუყრიან ფოთოლს და ისე აჭმევენ“ (სოფ. შუა ალევი, ილო მიხას ქე ბასილაშვილი, 23 წლისა) და ა. შ.



შესაბამე, აქ მაგალითისათვის ჩამოთვლილ სოფლებში, ცხვრის საკუთრებული ფერი, უმთავრესად ტყიანი ადგილები ყოფილა და ზამთრის მთვარი საკვები—ფოთლეული, მაგრამ ზამთრობით ცხვრის კვების რეჟიმი მარტო ამ სოფლების ფარებისათვის არა ყოფილა ჩვეული. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთ სოფელს ამდაგვარი ბუნებრივი საკვები სავარგულები უფრო მეტი ჰქონია, ვიდრე საკუთარი ცხვარი გამოიყენებდა და ამ სავარგულებით სხვა სოფლის ცხვარი სარგებლობდა ხლომე, მაშინ, შევვეძლება თქმა, რომ ტყის ანარჩენაზე ცხვრის კვება და ზამთრობით ტყანი ადგილების საბალაზო გამოყენება გარკვეული წესი ყოფილა ცხვრის კვება-შენახვისა, თავისთვალი და მეტი თუ ზაკლები დონით ყველა იმის მიერ გამოყენებული, ვისეც გარემო მეტს ვერაფერს შესთვაზებდა, ან, იქნებ ვისაც მა გარემოს შესაძლებლობათა გამოყენება შეუწეობრივად ყველაზე უფრო სარტიანად სწორედ ასე მიაჩნდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავისახელოთ სოფელი ოძისის მაგალითი. იქაურები მეცხვარეობას მეტად მცირედ მისდევდნენ. „დველად ცხვარი ოძისში სამ კაცას ჰყავდა, თითოს 200, 150 ეყოლებოდა. თითონევე უვლილენ, დიდი ოჯახები იყვნენ. 5—6 რძალი იყო თითო ოჯახში, გასაყრდები იყვნენ. ამ ოჯახებიდან, რომელსაც ცხვრის ანგარიში ესმოდა, ის დადიოდა ცხვარში“ (გიგო აქტუალური, სოფ. ოძისი). მაგრამ ოძისს საძოვრები ჰქონია და „ძველათ სოფელი საძოვარს აქირავებდა: ბუნარჩიანი, (ბატონიანთ სახლთან იყო). მშრალევი, ბურღუნული, ტიტველაანთ ღელე, ბოჭორმაანთ ღელე“. ეს ტყები ყოფილა, სადაც ცხვარი დადიოდა. ოძის საძოვარი მინდვრებიც ჰქონია: ქარულიანთ ველები, საჩალათები, ახოები, ბებერაულები, და ა. როგორც იგივე გიგო აქტუალური მოგვიახრობს. ზამთრობით „აქ მოღიოდა ქნის ხეობის ცხვარი... მოგვიახრენ სოფელ ზოდებიდან (ქართველები), სოფელ ნაგომევიდან, ჭამალიდან (ოსები), სხვითგანაც მოღიოდენ“. ამ ნათქვამს ადასტურებს გასო ოდიშვილი, სოფელ ზოდებიდან: „ჩვენი ცხვარი 10 წელს იდგა ზამთარში ოძისში, ბუნარჩიანში—ბატონიანთ სახლთან იყო ალაგი. ოძისის ტყებია, სადაც ცხვარი დადიოდა: მშრალევი, ბურღუნული. ტიტველიანთ ღელე, ბოჭორმაანთ ღელე... კარგად იგვებებოდა აქ ცხვარი .. როცა დიდი თოვლი იქნებოდა, აქ ტყები ფოთლების ჩაწყობა იცოდნენ. ნეკერსაც სჭამდა ცხვარი. ქარის დროს კარგია ტყები, თბილი. დიდ თოვლში ტყები ხავსა და ნეკერსა ჭამენ“. ოძისის კუთვნილი ადგილების გამოყენებას თავიანთი ცხვრისათვის ადასტურებენ აგრეთვე თედო გოგის ქე ჩიტიშვილი, ჭამო მოსეს ქე ბერიანიძე (სოფ. დაღიანეთი—შალაანთ უბანი), ვანო მოსეს ქე მიდელაშვილი, შურაბ მოსეს ქე მიდელაშვილი (ქარჩხი—მიდელაანი) და მრავალი სხვა.

მაგრამ, ცხვრის ზამთრობით შენახვა-კვების მარტო ეს წესი არ იყო ცნობილი და გაქრცელებული; როგორც აქ მსჯელობას დაქვემდებარებული მასალიდან ჩანს, გაცილებით უფრო ფართოდ იყო გამოყენებული ზამთრობით ცხვრის შენახვა მინდვრად, იქნებოდა ეს საკუთარი სოფლის საძოვარ-საბალახოებზე თუ სხვა სოფლისაგან ნაქირავებზე. ზამთრობით ცხვრის შენახვის ამ ორი, შეიძლება ითქვას, ძირითალი სახის გარდა, შედარებით უფრო მცირე

უარგლით, მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ სოფელში, ცეკვას უდინდებენ სახლშიც ინახავდნენ ხოლმე სხვა პირუტყვთან ერთად. ასე, მაგალითშიც; სოფელ ბაზალეთის მცხოვრები სანდრო ეპიტაშვილი გვამცნობს: „ზამთარში ცხვარი ცალ-ცალკე გვყავს სახლებში, ისე ვაჭრებთ თივის, როგორც ძროხას“ და იმავე სოფლის მცხოვრები, სანდრო იაგორის ძე ეპიტაშვილი დასხენს: „აქ მძიმე თოვლი იცის. აქედან ცხვარი არსად მიღიოდა. თივის რასაც იმარა-გებდნენ, იმისი ვარაუდით ინახამდნენ ცხვარსა“. მიხა სვიმონის ძე ნიკოლა-შვილიც (სოფ. შუა ალევი) ადასტურებს: „ცხვარი უმეტესობას ჰყვანდა სო-ფელში, ზოგს 200-მდე, 5-ზე ქვევით არავის ჰყვანდა“. — „ქველ დროში შინ მყარა ცხვარი, თივის ძალით ვინახავდი“, იხსენებს ვანო ფიცხელაური, სო-ფელ ზემო აშიდან და ა. შ. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, გაცილებით უფ-რო ფართოდ იყო გავრცელებული და გამოყენებული ცხვრის ბალახობა აღვილობრივ, სოფლის კუთვნილ, ან კი უკვე სხვა სოფელში ნაქირავებ საბა-ლახობებსა და მინდვრებზე. ამის დასადასტურებლად, ჩვენ ქვემოთ, ყველა არსებული ცნობის მიხედვით, თავი მოვუყარეთ სოფლებს, რომელთა ცხვარი ზამთრობით ერთ რომელიმე სოფლის სავარგულებით სარგებლობდა ხოლმე და, ამ გზით, შევეცადეთ დაგვედგინა, პირველ რიგში, ერთგვარი ცენტრები აქ მსჯელობას დაქვემდებარებული სოფლებისა თუ უპნის ცხვრის ზამთრო-ბით თავის მოყრისა.

ერთი ასეთი აღგილთაგანი იყო ახალუბანი.

სოფელ ვარსიმაანთ კარის მცხოვრები ნიკა ვარსიმაშვილი მოგვითხრობს: „ზამთრობით ცხვარი ახალუბანში, წილების ბოლოზე გვყავდა, მისაქციელის და წილების შუაში არის. ეს აღგილი ჩვენი, წინდუშეთისა, იყო. ეს აღგილი წინწინ უპატრონო ყოფილი, მერე საქონელი ჩაუდენიათ აქედან (ვარსიმაანთ კარიდან—დ. ა.), ჩვენები დაპატრონებიან, გუთხებიც ჩაუტანიათ, უხნავთ. ზოგი ჩვენი კაცი იხლაც იქ არი“ — „იქ მარტში კაი საძოვარი ბალახი იყო. იქ უფრო ურო ბალახი იყო, მთელი ზამთარი ბზე არ იყო საჭირო, მინდორ-ში იყვებოდა. 8 ვერსი ჰქონდა სივანე, სივრცე 7 ვერსი. ამ მინდორზე 9000-მდე ცხვარი იდგა. ამ მინდორში ტყეც იყო“. სოფელ უამურის მცხოვ-რები სანდრო ჩილოშვილიც იხსენებს, რომ „წინათ ახალუბანში ხალხი არა ცხოვრობდა, მარტო ფარებები იყო... საპალახეს... მუხრან-ბატონს უბ-დიდით“.

სოფ. ვარსიმაანთ კარის გარდა, აქ ცხვარს აყენებდნენ ხოლმე შემ-დეგი სოფლები: ქათასხევი, თანიანი, მიოზაანთ კარი, ბეგოიანთ კარი, ქვემო აში, ზემო აში, ცვავილო, პირმისაანი, კარიაუ-ლი, უამურა, ქარჩოხი, რომელთა მცხოვრებლებიდან აქ შემდეგი მეც-ხვარეები ჩამოლიოდნენ: რახრახაძენი, ბუღაური, ბაღაშვილი, თანიანიანი, ბეკოიანი, ჭინჭიანი, მისანიანი, ოდიშელნი, ქარაულები, ახალიანი, დიდე-ბიანი, კარაულნი, ვარსიმაანი, პირმისაანი და სხვ. (მთხრობელნი სანდრო ფრიდონაშვილი, სოფ. ზემო აშიდან და გიორგი ქარაული, იქიდანვე).

ზემოჩამოთვლილი სოფლების ცხვრის ნაწილი იმაგდროულად, ან კიდევ იგივე ფარები სხვადასხვა წელს სხვა აღგილებში ზამთრობდნენ ხოლმე, მაგრამ

როგორც სოფელ ქვემო აშის მცხოვრები მიხა ყირმიზაშვილი მოგვითხოვთ და „ახალუბანი ყველასა სჯობდა. ღალიანი ბალახი იყო იქა—ქონდარა, მაჩიტა, ცხვარი ნარბილშიც ფეხითა ქექამდა ბალახის ძირებს, კლერტს“, ხოლო „ზამთარში თუ დიდი თოვლი მოდიოდა, თივით გასაზრდოებდით ცხვარს, თუ არა თავის პირით გამოდიოდა“. ჩვენ ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ „თავისი პირით გამოსულა“ ტყის ანარჩენების გამოყენებასც ნიშნავდა, მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, „ამ მინდორში ტყეც იყო“. მართალია, სხვა მთხოვნელები (ვანო მოსეს ძე მიდელაშვილი, ზურაბ მოსეს ძე მიდელაშვილი სოფ. ქარჩხიდან) სასირეთს, აშურიასს, ბიჭმინდას. მისაცეკველს, ტინიხედს, ოეთრასევეს (იხ. ქვემოთ) ამჯობინებენ როგორც საზამთრო საძოვარს, მაგრამ ჩვენთვის აქ საკმარისია ხაზგასმა იმ გარემოებისათვის, რომ ახალუბანი ერთი კარგი საცხრე დაგილთაგანი ყოფილა.

საქმარე ხშირად არის მოსხენებული სოფელ ერედას სავარგულები როგორც ზამთრობით ცხვრის სამყოფელი.

„ჩვენში (სოფელ ერედაში—დ. ა.) და წილკანში (იხ. ქვემოთ—დ. ა.) ძევლათ ფარეხებს აქირავებდნენ. ფარეხებში ცხვარს მისცემდნენ, ან მატყულს, ან წველაზე მორიგდებოდნენ. წილკანში 7—8 ფარა იდგა ხოლმე. ფარაში 350—400 ცხვარი იყო. ერედაში ორი ბინა იყო, ორი ფარა იდგა ხოლმე. იქ ურ ფარეხებში 500—600 ცხვარი დადგება“ (მთხოვნელი გაძო თეზელაშვილი, სოფ. ერედადან). როგორც ჩანს, სოფელ ერედაში საკუთარი ცხვარი მოსახლეობას მცირედ ჰყოლია. „ძევლად უველას არა ჰყავდა ცხვარი. მარტო ჩვენა (თეზელაშვილი—დ. ა.) და ზაქარძებს გვყავდა 300-300 ცხვარი. ჩვენ ორი ბინა გვქონდა. ჩვენ სხვა ამხანავები გვყავდა, იმათ სხვა“. (მთხოვნელი გაძო თეზელაშვილი). ამიტომ იყო, რომ სოფელ ერედას სავარგულებით სარგებლობდნენ, როგორც ხსენებული გ. თეზელაშვილი გვიამბობს, სხვა სოფლები, სახელდობრ: სოფელი ხადი, ახალდაბა, ციხედავი, ბაზალეთი, გვარი, გვარაბიდან, ციხედავიდან, ბაზალეთიდან, ქართლიდან, გვარადპედან. წილკანში ოსებიც და მთიულებიც მოდიოდნენ“. აღნიშნული სოფლების გარდა, როგორც უკვე დასახელებული სანდრო ჩილოშვილის (სოფ. უამური) ნამშბობიდან ჩანს, სოფ. ერედას მინდვრებით ზამთარში სოფ. უამურის ცხვარიც სარგებლობდა. მოდიოდა იგრეთვე სოფ. ქარჩხის (მთხოვნელი განო და ზურაბ მოსეს ძე მიდელაშვილები) სოფელ ლარვისის (მთხოვნელი ნანო ალექსის ძე მარტიაშვილი), სახელდობრ კი მიდელაანთი, დადიანელთა, ახლოურთა და თვითონ მარტიაშვილის ცხვარი; სოფ. ცხავარის ცხვარი (მთხოვნელი ნიკოლოზ გოგიას ძე სუხაშვილი, რომლის „მამა-ბიძებს 1000 ცხვარი ჰყავდათ“, იმ დროს, როდესაც „ჩვენი ხალხი, ცხავარელები, ცხვარ-მცცხვარეობას არ მისდევდნენ, უფრო ჭურჭლის გაკეთებას მისდევდნენ, ისე (ხევატელებსაც ჰყავდათ 15—20—30, ზოგს 100 სულიც“) და სოფელ პავლიანის ცხვარიც (მთხოვნელი კოლა დაგათისე— ძე თინიკაშვილი). აღსანიშნავია, რომ ამ მინდვრებზე ცხერის ჩვეულებრივი



კვებისას („ცხვარი ნარბილშიც ფეხით შექმდა ბალახის ძირებს, კონტაქტი ტებს“ — „თავისი პირით გამოდიოდა“) „ზამთარში ცხვარს თვისაც ვაჭრებულით, თუ დასჭირდებოდა. ბოლო დროს მუხისა და იფნის ფოთოლსაც ვაჭრებულით ხომე სახში“ (მთხოვნელი გაბო თეზელაშვილი).

ხშირადევა მოხსენებული, როგორც სხვადასხვა სოფლის ცხვრის ზამთრობით შენახვისათვის თავმოყრის აღგილი, სოფელ ქსოვრისის მინდვრები.

როგორც მთხოვნელი ილიკო მინდაშვილი აღნიშნავს, ამ სოფლის მინდვრებში — ზარაფანდის ხევში, სათიბ ხევში, კვარაცხოვლის ხევში, — „სხვადასხვანაირი ბალახი იცის: იონჯა, კაბუჟუა, ძურწა, ნარა, ათასნარი ბალახი მოდის მინდორჩე. აქედან ისეთი ბატყანი მიუდიოდათ, როგორც ჰელილა. ერთმა სამ წელიწადში 20 ცხვრიდან ძალიან ამრავლა, სამჯერ მეტი გაზარდა“. — „ხევებში (ზემოთ არის ჩამოთვლილი — დ. ა.) ფარეხები იყო, ერთიც ყარამის ვენახში იდგა. სულ ოთხი ფარეხი იყო ჩვენ სოფელში. ფარეხები კერძოებს ჰქონდათ“ — „აქ საძოვარი დიდია, მლაშე და წმინდა ბალახი იცის. ჩვენ საძოვრებზე 1500 ცხვარი ეტეოდა, თითო ფარეხში 500 ცხვარი ეტეოდა“. მთხოვნელის ნაამბობიდან არ ჩანს, ამ სოფელს საკუთარი ცხვარი ჰყავდა თუ არა, მაგრამ, სამაგიეროდ, „ქსოვრისში ცხვარი ქსინისხეველებს ედგათ. ესენი იყვნენ სოფელ უკან უბნიდან, ბაზართადან“ დადიანეთიდან, მახთარეთიდან, მიდელაანიდან (სოჭქარჩხის უბანია — დ. ა.), ტუხიანიდან, გაგაძეანიდან, მაჭარაანიდან, სუ ქართველები“. სოფელ ქსოვრისის მინდვრებით ცხვრისათვის ზამთრობით სარგებლობას ადასტურებენ აგრეთვე სოფ. დადიანეთის (ზალაპანი უბანი) მცხოვრებნი მთხოვნელები ლექსო ბერიანიძე, შაშო მოსეს ძე ბერიანიძე, თედო გიორგის ძე ჩიტიშვილი, აგრეთვე სოფელ ქარჩხის მცხოვრებნი ვანა და ზურაბ მოსეს ძე მიდელაშვილები, როგორთა სოფლებიდან ცხვარი სხვაგანაც დადიოდა საზამთროდ. მოხსენებული სოფლების გარდა, ცხვრის ზამთრობას იქაე მისდევდნენ სოფელ შუა ილევის (მთხოვნელი მიხა სვიმონის ძე ნიკოლაშვილი) და სოფელ ქვემო ჭალის (მთხოვნელი ვანო ნიკას ძე ბალაშვილი, 75 წლისა) მეცხვარები. ეს ვანო ბალაშვილი თვითონ ბალანიდან გადმოსულა. 15 წლიდან მეცხვარე და მოვითხობას, რომ პანციონს, ვაკესა და ბოეამს მამა-პაპიდანა ჰყავდათ ცხვარი. რენეშიც (?) არიან მეცხვარები. პანციონში, ვაკეში და რენეში (?) ოსები ცხოვრობენ, ბოეამში — ქირთველები. ზამთარში ამხანაგობა ჰქონდათ ბალანთ, მიდელიანთ, ყაზავეთს. ქსოვრისში გვედგა ცხვარი. მთელ ბინაში 600—700—800—900 სული იყო... ქსოვრისის ცხვრის ალაგი კარგია, ყიზლარისას მიეცეანება, მლაშე, კარღანი ბალახია, სუ ნეკერია ასხმული, ცხვარი სუ ძირეული სეამს“.

როგორც ჩანს, სოფელ კასპის მინდვრებიც ერთი იმ აღგილთაგანი იყო, სადაც საკმაოდ ხშირად და საკმაოდ დიდი რაოდენობით მოყრიდა ხოლმე თავს ზამთრობით ცხვარი.



სოფლები: უამური, ლადიანეთი, ქარჩხი, ლარგვისათვეები
ცხავატი, შუა ალევი, კორინთა, ქვემო ცხილონი, ბიჟამჭალები

სოფლები ყოფილი, რომელიც უმთავრესად სარეგბლობდნენ ამ აღილებით.

სოფელ მუხრანის სათანადო სავარგულებზე, როგორც მთხოვბელთა
ნაამბობიდან ჩანს, ზამთრობით ცხვარს აბალახებდნენ სოფლები: პავლია-
ნი, ცხავატი, ლარგვისი, ქარჩხი, უამური.

სოფელი ოძისი, რომლის საძოვარი მინდვრები და ტყიანი საბალა-
ხოები ზემოთ უკვე იყო მოხსენებული და სადაც „საძოვრები ფიცხი ილგია,
თოვლს არ იყენებს“ (მთხოვბელი გიგო ოქროშვილი), „სამი ფარები იყო,
სულ 1000-მდე ცხვარი ეტეოდა... ფარებები აქაური კაცებისა იყო და აქირა-
ვებდნენ“ (იგივე მთხოვბელი) — ჩვენ უკვე აღვნიშნეთ როგორც სოფელ ზო-
დების, ნაგომევის და ჭაშალის ცხვრის საზამთრო სამყოფელი. აქ უნდა
დავუმატოთ, რომ ხენებული სოფლების ცხვრის გარდა, დადიანეთის და
ქარჩხის ცხვრის ნაწილებსაც გაუტარებია ხოლმე აქ ზამთარი. კიდევ ერთ-
ხელ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ სოფელ ოძისის ტყით დაფარული აღილები
(ზემოთ უკვე გვქონდა ჩამოთვლილი), მსგავსად სოფელ ჭობორტის აღილებისა, „ქართული — „ტყის“ ცხვრისათვის საკვებ ბაზას წარმოადგენდა.

სოფელი ჭილკანიც შეიფარებდა ხოლმე ზამთრობით დადიანე-
თის, ქარჩხის, პავლიანის, კორინთას ცხვარს.

სოფელ ძალისის მინდვრებით სარეგბლობდნენ სოფლები ქვემო
აში, უამური, ლარგვისი, კორინთა თვითანთი ცხვრის ნაწილის გამო-
საზამთრებლად და სოფელ ნაოზას მინდვრებსაც შეუფარებია ზამთრობით
სოფლების უამურის, საფეხურის, კუცხვათის, ქარჩხის ცხვრის
სულადობის ნაწილი.

აქ დასახელებული ცხრა პუნქტით არ ამოიწურება სია იმ აღილებისა,
სადაც ზამთრობით თაგს იყრიდა ხოლმე ცხვარი, სოფელ ბაზალეთის
ტბის მიდამოები, რომელთაც, ნაწილობრივ, თვითონ ბაზალეთლები
იყენებდნენ („ზამთარში ჩვენი ცხვარი მინდონში გვყვდა ხოლმე, ტბის აქეთა
მხარე სუ ჩვენი იყო“ — მთხოვბელი სანდრო ეპიტაშვილი და სანდრო დო-
რეული), თუმცა მათ ცხვარს ზამთარი ერედაშიც გაუტარებია, ჩვენ უკვე
აღნიშნეთ როგორც საკრამულოს, საზაშურის (?), კობიანთ, გოგრიანთ,
ჩირდილელიანთ ცხვრის საზამთრო სამყოფელი (მთხოვბელი სანდრო ეპიტა-
შვილი და სანდრო დორეული). ამის გარდა, თეთრა ხევი — მეტების გა-
მოლმა — აღარ ის (სოფლებისათვის: ცხავატი, დადიანეთი, ლარგვისი, ქვემო
ცხილონი, ქარჩხი), გორი, ქანდა და დილომი (სოფლებისათვის: ლარგვი-
სი, კორინთა, შუა ალევი, ცხავატი, უამური, დადიანეთი, ქარჩხი), ტინიხი-
დი, გორიჯვარი, მისაქციელი, ჩანგალარი, აშურიანი — კასპთან
(სოფლებისათვის: ქარჩხი, დადიანეთი, ლარგვისი, ქვემო აში, პავლიანი) და
აგრეთვე ატენი (ქარჩხისათვის), უფლის ციხე (ზოდებისათვის), სკრა
(ლარგვისისათვის, ქარჩხისათვის), ნარეკვაგი — მცხოვასთან (გრემისხევისა-
თვის), ნატახტარი და საგურამო (ზემო აბისათვის), ავჭალა, ბიჭმენ-
დი და სასირეთი (ქარჩხისათვის), იგოეთი (დადიანეთისათვის) და სხვ.



მა.—ის ადგილები იყო, სადაც სხვადასხვა წელს ზამთრობდა ხოლმე საკუნძულო
დო სოფლების ცხვრის მთელი სულადობა, თუ მისი გარკვეული ნაწილი განუდევდებოდა
ამ აღწერიდანაც კი ნათლად გამოსცეიგის გარკვეული დაქაქაქულობა,
შემთხვევითობა და, მეურნეობრივი თვალსაზრისით, გარკვეული უსისტემობა
საქმის წარმოებაში. რაც იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთო-
ბის პირდაპირი შედეგია. ამ გარემოებათა სათანადო ანალიზი ბევრი რამის
მთქმელი იქნება იმ მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ჩაყენებული იყო
მშრომელი გლეხი მიწის მებატრონისა და ბატონისაგან („ნაოზაში საბალახოს
ოსიტაშვილს უხდიდით, ახალუბანში, წილუბნში, მუხრანში, ერედაში—მუხრან-
ბატონს, ებნისში და ჯაბეზი—ერისთავს უხდიდით“—მთხრობელი სანდრო ჩი-
ლოშვილი, სოფელ უმურიდან), რომელთა ხასიათსა და სურვილზე იყო დამო-
კიდებული მიაქირავებდა თუ პრა საძოვარს და ფარებს („...ხათრი გულითვინ
გაზიფხულზე ერთ მონაწეველს მიგცემდით ფარების პატრონს, რო მეორე წელს
ხათრი ჰქონილა“—მთხრობელი ლექსო გიორგის ძე ბერიანიძე, სოფელ და-
დიანეთიდან, ც4 წლისა); მაშინაც მანქანი მაშინ მეურნეობის სის-
ტემაც „ხათრი გულითვინ“-ის წყალობით ნაშონი საბალახოს და საძოვრი-
საგან დამოკიდებით, აგრეთვე იმისაგან დამოკიდებით, თუ ვინ ან როგორ პი-
რობებში შეამხანავდებოდა ზამთრობისა თუ მთობისათვის—გამუდმებით მერ-
ყეობდა. ყოველივე ეს საკითხთა კიდევ სხვა ჯგუფია. აქ კი—წინამდებარე
წერილის შინაარსის შესაბამისი—საჭიროდ შიგგანჩნია კიდევ ერთ მომენტს
გავუსვათ ხაჩი, რომელიც იმ ნაშრომიდან გამომდინარე დასკვნებში, რომლის
ერთი ნაწილის მოყვლე შინაარს წარმოადგენს წინამდებარე წერილი, გარკვეუ-
ლი მნიშვნელობისა უნდა იყოს.

მთხრობელთა ნამბობილიან ჩანს, რომ, მაგალითად, ოძისელები, რო-
მელთაც, ჟემოთ უკვე ნათქეამის თანახმად, ცხვარი მცირედ ჰყავდათ და თა-
ვიანთ მინდვრებს და ფარეხებსაც აქირავებდნენ, ძალიან ყოფილან დაინტერე-
სებული დრემლათი. „ძველად ოძისელები ფარებს აქირავებდნენ. ფარეხში ორ
ჭედილას, ან ორ დედალ ცხვარს არიმევდნენ. ოძისელებს უფრო დრემლა
უნდობდათ, მამულში გაპქონდათ“ (მთხრობელი შაქრო ილურიძე, სოფელ ოძი-
სიდან). „დრემლა ფარების პატრონისა იყო“—გვიამბობს ლექსო ბერიანიძე,
სოფელ დადიანეთიდან, მიუხედიათ იმისა, რომ ფარების ქირად „მთელ ზიმ-
თოში 2—3 ცხვარს უხდიდით“. მორიგებისაგან იყო დამოკიდებული, ალბათ,
რომ, მაგალითად, ვანო და ზურაბ მოსეს ძე მიდელაშვილები (სოფ. ქარჩხი-
დან) მისულან ხოლმე „კნიაზთან ან სოფელთან და მოურიგდებოდით რა ლირ-
და იმისი ალაგი. რაცა ლირდა, ფულს ჩავაბარებდით იმდენს, ან ჟელილას, ან
დედა ცხვარს მივცემდით. ხან ჩვენ ვაკეთებდით ფარებს, ხან ვეირაობდით,
100—300 ცხვრის საფარებეში 2—3 ცხვარს მივცემდით. დრემლა ჩვენი იყო.
ზოგს მარილი მოპქონდა, ზოგს შეშა იქაურებს, დრემლაში გვიცვლიდნენ.
ამით დრემლა ეცნაში გაპქონდათ“.

ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ სოფ. ქარჩხისა და სოფ. დადიანეთის
მეცხვარები, რომელთაგან რამდენიმე მთხრობელის გვარი ახლახან დავისხე-
ლეთ, ცხვარს ზამთრობით სხვადასხვა სოფლის მინდვრებში დააყენებდნენ

ხოლმე. შაშასადამე, ზემოაღნიშნული ნააშბობის მიხედვით, დრემლა ყველგან მეცხვარეობის დარგის ის ანარჩენი ყოფილა, რომელიც ცხვრის პატრონების და მინდოოთა პატრონების (მინდვრის ანარჩენებს კი ცხვარი გამოიყენებდა) გარეშელი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენდა. ხოლო იმათ, ვისაც არ სჭირდებოდა საკეთი სავარგულების ქირაობა (იხ. ქვემოთ), კარგად იცოდნენ თავიანთი ცხვრის ამ ანარჩენის გამოიყენება თავიანთივე მიწებისათვის. ასე, მაგალითად, „ცხვარს სოფლის მამულებში გაშოვებდით მამულის გასასუქებლად... მთილან რომ ჩამოვიყანდით ცხვარს, ამ აღვილებში (სოფლის მამულებია ჩა-ჩამოვლილი—დ. ა.) გვედგა ერთი თვე, თვენახევარი. ბაკი ერთ აღვილას გვედგა, ზამთარში მარხილებით გავიტანდით დრემლას მამულში. ძალიან უხ-დება პურს, ქერს, სიმინდს, ბაღ-ბოსტანს“ (მთხრობელი გენო ილიკოს ქე ხუბულური სოფელ ქვემო ცხილონიდან, 43 წლისა). დრემლის სასუქად გამოიყენების სხვა ხერხიც იყო ცნობილი: „...ბერა სახნავ აღვილებში იმიტომ იდგა, რო (ცხვრის პატივს ეტანებოდნენ, ჭირნახული კარგი მოდიოდა. სადაც ცხვრის ნადგომი იყო, იქ ქერი წელამდე მოდიოდა; ბერა სუ ერთ ალაგას არ ჟეიძლებოდა. ორ-სამ დღეში ერთხელ გადაუნაცვლებდნენ. პატივს ძალა აქვს და ალაგს ახურებს“ (მთხრობელი გოგლა ვანოს ქე ბალხმაშვილი, სოფ. ბო-ჟამილან, 46 წლისა). „ფარები გვქონდა ვენახის გვერდზე. დრემლა ვენახში გაგვქონდა“ — გვიამბობს გაბო თეზელაშვილი, სოფ. ერედადან.

მაგრამ, როგორც აქ მსჯელობას დაქვემდებარებული მასალა გვაჩვენებს, შედარებით მცირედ ყოფილა სოფლები, რომელთა ცხვარი, ზამთრობით, თავიანთსავე აღვილებში ტრიალებდა. სოფლების ამ ჯგუფს ეკუთვნის: 1) სოფელი ქვემო ჩინთი, სადაც „ტყებია, ჯაგებია, პატარ-პატარა ველებია, უმაღლო გამოუსადეგარი აღვილებია“ (მთხრობელი მიხა ლორიშვილი) და ამის გამო, სოფლის ცხვრის ნაწილი შირაქში მიღიოდა (იხ. ქვემოთ). ხოლო ის ნაწილი, რომელიც აქვე რჩებოდა, ზამთრობით ბალახობდა სოფლის საბალახოებზე: იხამი, გოლავის ქედი, ყველაწმინდა ფერდები, ბიღავის შზვარე, სატაცურიანი. მათი დახასიათება ჩვენ აქ უკვე მოვისმინეთ და საჭიროდ მიგვაჩინა ხაზი გავუსვათ: „ტყებია, ჯაგებია“, ე. ი. „ქართული“ — „ტყის“ ცხვრის გარემოა. 2) სოფელი ქვემო აში, რომლის მინდვრები ყოფილა: ქრანა, ლებოვანა, ნაცვლიანთ მეიდანი, ვაკე მიწები, ახო, ახალიანთ ახო, გულის უბანი, კურათავი, მჭადაურა და, გარდა ამისა, მზგარე (ტყიანი), თელახო (აგრეთვე ტყიანი), სისარე (ისიც ტყიანი), მუხრანაული (ტყით დაფარული). ეს სახელწოდებანი ჩვენ უკვე მოვისხენიეთ როგორც „ტყის“ — „ქართული“ ცხვრის გავრცელების უბანი, სადაც ცხვარი „თავისი პირით გამოიდიოდა, ნარსა სჭამდა. ფეხით გამოქვემსო... სჭამდა ფოთოლს, ფოთოლი იყო მუხისა, თელისა, იფნისა, ფოთოლი თივაზე საღი იყო“ და სხვ. (იხ. ზემოთ). 3) სოფელი გრემის ხევი, სადაც ლვინაძეურის ტყე, კოტეს ახოები, მზგარე და ჭალები ის ტყიანი აღვილები ყოფილა, ცხვარი რომ ბალახობდა. ამათში „მზგარე მზის-გულა აღვილია. ზამთარში აქ უმარჯვებდით, ცხვარი რომ არ დაგვიზრეს“... „აქვე ფოთოლს გვრიდით, ხეზევე ვაწყობდით“ და სხვ. (იხ. ზემოთ. მთხრობელი ვანო მიშელაშვილი, ბესო ქარქუსაშვილი, არტონ პაპუკაშვილი), მაშასა-

დამე, ისევ „ქართული“—„ტყის“ ცხვრის გარემო, თუმცა აქაური ცხვრის „შემოთხოვების“ წილი როგორც დავინახეთ—ნარეკვავზედაც (მცხეთასთან) მიღიოდა, მაგრამ ის ხომ არ იყო აღიარებული „ტყის“ ცხვრად. ის ისეთი იყო, რასაც „მინდვრის“ ცხვარს, „თუშურ“ ცხვარს უწოდებდნენ (იხ. ზემოთ). 4) სოფელი ერედა,—სადაც საბალახო მინდვრები ყოფილა: გრძელ მიწები, გარდიგარდ-მოები, რიყანები, საწილებო, ბაგებითავი, ხოდაბუნები. „ეს მინდვრები იყო, ხრიაკები კიდევ სხვა“ (მთხრობელი გაბო თეზელაშვილი)—ჩვენთვის უკვე ცხო-ბილია როგორც ერთ-ერთი პუნქტი, სადაც ზამთრობით სხვა სოფლების ცხვა-რი იყრიდა ხოლმე თაგს. 5) სოფელი ნაოზა, სადაც „შინათ 7—8 კომი იყო, 4 კომი აზნაური, დანარჩენი ხიზანი, გარშემო სუ სახნავი იყო და ბევრი ცხვა-რი იდგა ზამთარში. მამულის ნახევარი ისვენებდა, ნახევარი იხვენებოდა. ამ და-სვენებულ ალაგას იდგა ცხვარი“. მაგრამ ახლა „მინდორი აქ სუ იხვენება. ცხვარი ტყეში დადის. ცოტათი იყვლიფება, მაგრამ მატყლიანია, რბილმატყლიანი უფრო იყვლიფება“ (მთხრობელი სანდრო ჩილოშვილი). ამ სოფლის საბალახო მინდვრები ყოფილა: აპენი, თელამინდორი, მუხიმიწები, უროიანი, ჭყანტიანი, მეშერი, სამარილე ლელე, კოჭობა, ბუნდარულათ ლელე, ვაკე ტყე, აკაკის მი-წა, ახოს მიწა, ნაჯარტობელა, ქელითავები, მლაბური, ბალიანთ ტყე, წვრი-ლი ლელე, სალოკის ქედი, საგუგულის ქედი. ჩვენ დავინახეთ, რომ სოფელი ნაოზაც ერთ-ერთი ის პუნქტი ყოფილა, სადაც ზამთრობით სხვა სოფლის ცხვარი იდგა ხოლმე. მაგრამ როგორც ჩანს, ისინი „ცხვარს ტყეში არ რე-კამდნენ. მამულში დადიოდა ცხვარი. ძალიან სუქდებოდა, მატყლიც მოსდიო-ოდა“. რაც ზეეხება ადგილობრივ ცხვარს, რომელიც, როგორც ჩანს, მრავალ-რიცხვანი არ ყოფილა, ის, ზემოთ აღნიშნულის თანახმად, „ტყეში დადის“ და „ცოტათი იყვლიფება“. 6) სოფელი ბიწმენდი თავის ცხვარს აბალახებდა სოფლის მინდვრებშე: საყდრები და ყასალულები, „ზამთარში სუ აქ იყო ცხვა-რი“ (მთხრობელი ვანო ბედუკაძე). მაგრამ „ცხვარი რო გაიპარსებოდა, მაშინ ცოტა ხანს გაუშვებდით ტყეში, მერე მატყლი რომ მოუვიდოდა, აღარ გაუ-შვებდით, თორე მატყლი ეყვლიფებოდა“, 7. სოფელ წირქოლს (მორბედაანი) თავისი ცხვარი „შინათ ზამთარში აქ ჰყავანდა ხოლმე, ზებეყურის მთაზედა, პა-ტარა გვერდის მთაა, ტყე-ველიანია, ჩვენი კოლექტივის ცხვარი ახლაც აქ არი, მაყვლი ფოთოლს, ხმელ ბალახს სჭამდა“ (მთხრობელი ლადო ივანეს ძე თითარაშვილი, სოფელ წირქოლიდან, 59 წლისა) ხოლო იმავე სოფლის მეგრელია-ნი (უბანია სოფელში—დ. ა.) ცხვარს ატრიალებდა, ზებეყურის გარდა, სოფლის მამულებშიც, როგორიცაა ციხიქედები, კოშაბურები, შიშველი, წმინდათ გიორგის ქედები, ყუდუხები (?), წყალკოდები, ხატიმიწები, ჭალები. „ეს ტყე-ველებია, დაბ-ლა ნარბილებია“ (მთხრობელი ვანო სანდროს ძე მეგრელიშვილი, სოფ. წირქო-ლიდან, 50 წლისა). 8) სოფელი ჭობორტი და სოფელი ყვავილო ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, როგორც სოფლები, რომლებიც ცხვარს თავიანთ ადგილებში აზამთრებდნენ და სადაც, იქაური შთხრობლების თქმით, „ქართული“—„ტყის“ ცხვარი ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოსხული იერისა ყოფილა. უკანასკნელია მოხსენებული ამ ორი სოფლის ცხვრის ზამთრობის გარემოს დაპირისპირება ამათზე ადრე ჩამოთველილი იმ სოფლების იმავე გარემოსთან, სადაც ცხვარი



ზამთარს ადგილობრივ გაატარებდა ხოლმე, შესაძლებლად ხდის გამოიწვიოთ მას მარტინ გარემოს შემოქმედების და მას შემცირება იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამ გარემოს ჰამოყალიბებაზე. მაგრამ დების ძალა „ტყის“—„ქართული“ ცხერის რაობის ჩამოყალიბებაზე. მაგრამ საამისო მსჯელობა იმ ნაშრომის ამოცანაა, რომლის ერთ-ერთი ნაწილის მოკლე შინაარსს წარმოადგენს წინამდებარე წერილი.

და, ბოლოს, ცხერის ზამთრობით მოვლა-შენახვის აქ წარმოებული აღწერის სისრულისათვის, უნდა აღვნიშნოთ, რომ მსჯელობას დაქვემდებარებული უბნების სოფელთა წყება ცხვარს საზამთროდ ყიზლარს და, ნაწილობრივ, შირაქში მიერევებოდა. ასე, მაგალითად, სოფლები: სეთურები, წკერე, გვიდაჭე, მუღურე, ბეგოთკარი, ბეგოთი, დურაცხო, წინამხარი—როგორც მთხრობელთა ნაამბობიდან ჩანს, თავიანთ ცხვარს მთლიანად ყიზლარში გარეკავდნენ ხოლმე; ხამუშა (ხანდო) აფშო და კორინთაც, ნაწილობრივ, აგრეთვე შირაქში.

* * *

ყოველივე ზემოთქმული მჩხეული არ უნდა იყოს მხოლოდ აღწერად იმისა, რასაც ადგილი ჰქონია შორეულსა თუ ახლო წარსულში. აქ მოწოდებული და, აგრეთვე, ის მასალა, რომელიც ამ შინაარსით შესაგროვებელი და ჯეროგნად შესწავლილია—ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, როგორც ხალხის გამოცდილება და ის გამოგვადგება იმ დავალების დეს, როგორც ხალხის პიროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამშლიან გეგმაშია ამნიშნული სამეცნიერო-საკეთებელი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ამ დავალების შესახებ, ჩვენ, დასაწყისში უკვე გვქონდა ლაპარაკი.

„პირუტყვის ზამთრობით ძოვების პირობების განსხვავება სხვადასხვა რაიონში და, ამასთან დაკავშირებით, ზამთარში საძორული შენახვისათვის განკუთხნილი პირუტყვის კონტიგენტი, გვაიძულებს დაზუსტებას ცალკეული რესპუბლიკის რაიონებში, სადაც ძოვების ვადები განსხვავებულია, ე. ი. აუცილებელს ხდის პირუტყვის სხვადასხვა სახეობის და ჯგუფის მოვლა-შენახვის სისტემის დარაიონებას¹. „ყაზახთის სსრ-ში 1942—1943 წელს ამ მიმართულებით წარმოებულმა მუშაობამ ასეთი დარაიონების გარევეული პროექტი უკვე გამოავლინა. ასეთი დარაიონება ცალკეული რესპუბლიკისა და ოლქის მიხედვით, შესაძლებლობას მოვცემს ყველგან დაგაზუსტოთ ხასიათი და ხანგრძლიობა საზამთრო და საგაზითხულო ძოვებისა, დავადგინოთ პირუტყვის გასალაბები კონტიგენტი ცალკეული რაიონის შიხედვით და საზამთრო საძორებზე უხეში საკვების სადაზღვევო ფონდის აუცილებელი რაოდენობანი“².

საბჭოთა კავშირის ყველა იმ რაიონში, სადაც ქოჩად მავალი შეცხოველეობის ჩაყენება გალალვით-საძოვრული მეცხოველეობის მდგომარეობაში

¹ Опыт отгонно-пастбищного содержания скота в колхозах. Огиз-Сельхозиз, 1948.

² იქვე.

მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში დაიწყო, ბევრი ისეთი ორგანიზაცია ჭინაძეარ შესწავლილი, რაც ჩვენი—საქართველოს—გალალვით-საძოვრული მეცნიერებლების დიდი ხნის ისტორიის განმავლობაში ჩვენი ხალხის პრაქტიკას დაუზუსტებია. ამ ასეული და ათასეული წლების მანძილზე დაზუსტებული გამოცდილების გარკვეულ ანარეკლს წარმოადგენს, ჩვენი აზრით, ჭინამდებარე წერილში მოთხრობილი მასალა, იმ მოცულობით და იმ მიმართულებით, როგორც ამ წერილისათვის განვხაზღვრეთ. მაგრამ სოციალისტური მეცნიერებლებისათვის ყოველივე ეს სრულიად განსაზღვრული და სრულიად გარკვეული ფარგლით არის მნიშვნელოვანი. ყოველივე აქ მოთხრობილიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანია, უწინარეს ყოვლისა, ამა თუ იმ ტერიტორიალურ ერთეულზე, ამა თუ იმ კლიმატურ პირობებში ცხვრის ზამთრობის შესაძლებლობანი და აქ აღნუსხული ფაქტები, ვფიქრობთ, ამ შესაძლებლობათა საქმიანდ დიდ ფარგალს გვიჩვენებს. რაც შეეხება სამეცნიერო-ეკონომიკურ გარემოს, რომელმაც ამ ბუნებრივ პირობათა შესაძლებლობის ფონზე უნდა დააზუსტოს და განსაზღვროს თვითონ ამ საქმის „აგროტექნიკა“—ის მხოლოდ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და ჩვენი კოლმეურნეობების—მსვილი და მდიდარი სასოფლო-სამეცნიერო წამოწყებების—უსაზღვროდ ფართო ტექნიკური ბაზის და პოტენციალის ფონზე შეიძლება განვსაჯოთ. ამიტომ არის, რომ დღეს, როდესაც ჩვენი სოფლის მეურნეობა გახდა ყველაზე მოწინავე, რადგან სოციალისტურია და ყველაზე მძლავრი, რადგან საკოლმეურნეოა, სწორედ დღეს დგას ჩვენს წინაშე ესოდენ აქტუალურიდ მემინდვრეობისა და მეცნიერებების განვითარებაში და აგრძელებე შეცნოველების ცალკეულ დარგთა განვითარებაში სწორი შეებამების საკითხთა შემუშავება საბჭოთა კავშირის ცალკეული სასოფლო-სამეცნიერო ზონების მიხედვით. ამაზე მიგვითითებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

სწორედ ამ უკანასკნელი საკითხის გადაჭრაში მოიყრის თავს და მასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს წყება სხვა საკითხებისა, რომელებიც მომთაბარეობის ვადას, ხანგრძლიობას, მარშრუტებს და მრავალ სხვა დეტალს შეეხება. ამ საკითხთა შორის მეტად მნიშვნელოვანია და პირველი რიგისაა საკითხი პირუტყვის ჯიშის შესახებ. სწორედ ამ ნაწილშია განსაკუთრებულად დამატებირებელი ის ცენობები, რომლებსაც ჩვენი მეცნიერების დაკვირვება იძლევა ადგილობრივი ცხვრის ჯიშურ ფარგალში არსებულ განსხვავებათა შესახებ. ამაზე ჩვენ ზემოთ საკაონდ დიდხანს შეეჩერდით და ეს დაკვირვება შემდგომი შესწავლის და დაზუსტებების ღირსია.

საქართველოს მუხეუმის ეთნოგრაფიული განყარგულების განვარგულებაში არსებული მასალა მდიდარ ცნობებს გეგმვდის აგრეთვე ამავე სოფლებსა და უბნებში ცხვრის მთობის შესახებ, საზაფხულო საძოვრების უახასიათებისათვის, ცხვრის ექსტერიერული და პირდუქტიული განსჯისათვის და სხვ. ყოველივე ეს შეცნოველების კათედრას განხილული აქვს იმ საერთო ნაშრომის თვალსაზრისით, რომლის ერთი ნაწილის მოკლე შინაარსს წარმოადგენს წინამდებარე წერალი. ყველა ამ საკითხს, ჩვენ, უახლოეს დროში დაუუბრუნდებით შეძლებისამებრ.

Д. АГЛАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ОТГОНА ОВЕЦ В РАЙОНАХ КАРТЛИ И МТИУЛЕТЫ

(по материалам этнографического отдела Музея Грузии)

РЕЗЮМЕ

Настоящая статья представляет краткое изложение содержания одной части работы, выполняемой кафедрой животноводства Грузинского Ордена Трудового Красного Знамени Сельскохозяйственного Института имени Л. Н. Берия, в соответствии с задачами, поставленными перед Научно-Исследовательскими Институтами и Вузами Советом Министров Грузинской ССР и ЦК КП(б) Грузии в „Трехлетнем плане развития общественного колхозного и совхозного продуктивного животноводства (1949—1951 г.)“.

Автор рассматривает применяемый в овцеводстве Грузинской ССР способ отгона как одну из разновидностей отгонно-частичного содержания скота, подчеркивая одновременно, что отгон овец не должен быть оценен только как определенное средство рационального, с хозяйственной точки зрения, использования естественных кормовых угодий; отгон овец должен быть признан также некоторым „агротехническим“ способом, определяющим взаимосвязь организма овцы со средой ее обитания и ее признаков и свойств с условиями их существования. Следовательно, при изучении—в соответствии с задачами, поставленными Партией и Правительством в связи с трехлетним планом развития продуктивного животноводства—вопросов отгонного животноводства, работа должна быть направлена как в сторону уточнения и разработки организационно-экономических моментов отгона, так и в сторону выяснения биологических особенностей овец, содержащихся в условиях отгона. Это последнее может служить значительным подспорьем в деле улучшения местных и выведения новых пород.

Автор указывает, что в материалах этнографических экспедиций этнографического отдела Музея Грузии имеются богатые данные о техничес-

ких приемах отгона овец, о зимней их пастьбе, организационных отгона овец и т. д. соответствующий анализ которых дает возможность восполнить наши сведения, во первых, для районирования систем содержания разных видов и групп скота, а во вторых, для изучения и использования многовекового опыта населения районов, издавна применяющих отгон скота, в целях установления новых, наиболее рациональных приемов организации и техники отгонного животноводства.

В настоящей статье, автор, соответственно анализируя материал, дает характеристику породного состава овец районов Картли и Мтиулеты, содержащих этот вид животных в условиях отгона, кроме того дано описание зимнего их кормления. В этой связи интересно отметить, что в общем контингенте овец, содержащихся в условиях отгона, по породной принадлежности могущих быть отнесенными к породе „тушинская“ распространенной в Грузии повсеместно,—овцеводы ряда сел (Чонорты, Саквавило, Квемо Аши, Квемо Чинты и др.) считают, что у них имелась особая, „грузинская“,—„лесная“ овца, отличительной особенностью которой являлась способность пастьбы в лесу, в кустарниках без потери шерсти и которая довольствовалась зимой в основном листвой и веточным кормом. Производительность (шерсть) этой овцы, упомянутые овцеводы ставят выше производительности т. н. „полевой“—„тушинской“ овцы. Не отличая в остальном от тушинской овцы, эти овцеводы считают „лесную“ овцу вполне пригодной для естественных и хозяйственных условий их района. Ссылаясь на данные доцента Мосашвили, изучившего условия и технику отгона овец на примере колхоза им. Кирова сел. Архилоскало Цителцкаройского района, автор подчеркивает довольно чувствительный размер потери шерсти при пастьбе на пастбищах лесных и заросших различным кустарником. В связи с этим, учитывая характер пастбищ, находящихся в пользовании довольно большого количества сел изучаемых районов, где лесные и покрытые кустарником пастбища использовывались „лесной“—„грузинской“ овцой, а также имея в виду, что этот опыт может быть заимствован и рядом других районов, автор на этом заостряет внимание работников животноводства, как возможной селекционной цели при улучшении существующих и создании новых пород. В части зимнего кормления, обращает на себя внимание то обстоятельство, что абсолютное большинство поголовья овец районов Картли и Мтиулеты не отгонялось на нынешние зимние пастбища Кизляр и Шираки, а зимовало в тех же районах в определенных пунктах зимовки (Ахалубани, Эреда, Есовриси, Касни, Одзиси и т. д.). Наряду с достаточно полным перечислением этих пунктов зимовки и сел, откуда сгонялись овцы к этим пунктам зимовки, дается описание условий зимнего кормления овец. Данные этнографических экспедиций этнографического отдела Музея Грузии показывают, что кроме зимней пастьбы в лесу (характерно для „лесной овцы“) довольно распространенным было стойловое

зимнее содержание овец. В этих случаях, хозяева на зиму запасались сеном и количество заготовленного сена лимитировало поголовье овец. Одновременно наиболее и повсеместно распространенным было содержание овец в пунктах зимовки на арендованных пастбищах, пашнях, выгулах и виноградниках. При этом, в соответствующую аренду плату включался и навоз, используемый владельцами земель в качестве удобрения. Ряд сел описываемых районов был обеспечен достаточным для своего поголовья овец количеством пастбищ и в таких случаях—желая обеспечить использование навоза в качестве удобрения—овцеводы применяли систему пастьбы, которую можно назвать загонным методом пастьбы, широко рекомендуемым в настоящее время. Материал этнографических экспедиций этнографического отдела Музея Грузии (зав. отделом профессор-доктор Читая, руководитель экспедиции научный сотрудник Кацадзе) дает возможность уточнить также маршруты отгона овец, правила движения овец, технику и правила пастьбы и т. д. Автор придает определенное значение знанию этих моментов для улучшения организации и расширения практики отгона овец.



დოკ. 6. მარტინელაშვილი

ტყის სიმუშის საგითხისათვის სატყეო მეურნეობაში

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაში ამა თუ იმ პროდუქტის მისაღებად საჭიროა წარმოების განსაზღვრული რაოდენობის სტადიის გავლა და უკანასკნელი სტადიის გავლის შემდეგ მიღლება მოხმარებისათვის ვარგისი ანუ მწიფე პროდუქტი.

სატყეო მეურნეობაშიაც კარგა ხანია შემოღებული ცნებები ტყის სიმწიფის შესახებ (12).

მართალია, სოციალისტურ პრესაში ტყის სიმწიფის შესახებ თეორიული დისკუსიის დასაწყისშივე იქნა უკუგდებული ბურჯუაზიული შეხედულებანი ამ საკითხზე, მაგრამ სოციალისტური სატყეო მეურნეობის პრაქტიკაში შეინცდა „მწიფე ტყის“ კატეგორია და ოც შეიძლებოდა არ დარჩენილიყო იგი ხმარებაში სახალხო მეურნეობის გეგმური მოთხოვნილების ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

ტყის სიმწიფეს სოციალისტურ სატყეო მეურნეობაში სულ სხვა შინაარსი აქვს, და ის უპასუხებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ძირითად მოთხოვნილებებს; მას არც კი შეუძლია ჰქონდეს ის მიზნები, რომლებიც კაპიტალისტური მეურნეობის დამახასიათებელ თვისებებს წარმოაღენს.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოთხოვნილებებს უყენებს სატყეო მეურნეობას სახალხო მეურნეობის ესა თუ ის დარგი და როგორი ხასიათისაა ზრდის წარმადობის მიხედვით სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე განლავნილი ტყის კორომები, მეურნეობაში შეიძლება არსებობდეს ტყის სიმწიფის ნაირგვარი სახე.

ცნება ტყის სიმწიფის შესახებ წარმოადგენს სატყეო მეურნეობის ერთ ელემენტთაგანს. მას შეიცავს სატყეო მეურნეობის ორივე ფორმა—როგორც ტყეკაფითო, ისე ამორჩევითი.

ყოველი სატყეო მეურნეობა ტყის გაცემის დროს მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის მოთხოვნილება მერქნის განსაზღვრული ხარისხობრივი და რაოდენობითი მაჩვენებლების მიხედვით.

„ხევბი,— ამპობს პროფ. რუდკი, — მრავალ წელს ცოცხლობს და სიცოცხლეში სლის სხვადასხვა მანძილზე შეუძლია დაგმაყოფილოს მეურნეობის სხვადასხვა სხვა მოთხოვნილება; ასე, რომ ტყის სხვადასხვა ჯიშს სიმწიფე სხვადასხვა დროს უდგება, ან, სხვანაირად რომ ვოქვათ, სატყეო მეურნეობაში რამდენიმე სახის სიმწიფე არსებობს“ (1).

ამგვარად, ზოგადად ტყის სიმწიფე უნდა გავიგოთ, როგორც კორომის ასაკის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მას შეუძლია დაგმაყოფილოს თავისი ზომებისა და ხარისხის მიხედვით სახალხო მეურნეობის ესა თუ ის მოთხოვნილება.

მაშასადამე, რაღან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მოთხოვნილებანი მერქნის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით ნაირგვარია, სიმწიფეც ნაირგვარი სახისა უნდა იყოს.

სატყეო მეურნეობა ითვალისწინებს იმ მდგომარეობას, რომ განსაზღვრული ჯიში, მისი წარმოშობისა და გარემოს ამა თუ იმ პირობებში, ადრე თუ გვარ სიკელილის სტადიაში გადადის. ჩეკულებრივად საკურორტო ტყეების საპარკო მეურნეობაში ჭრა ამ პერიოდისათვის ინიშნება. ეს პერიოდი სატყეო მეურნეობაში, ბუნებრივი სიმწიფის სახელწოდებით არის ცნობილი.

პროფ. რუდკის განმარტებით „ბუნებრივი სიმწიფის ხნოვანება ეწოდება სიმწიფის სრულ ასაკს, რომელიც ხის სიცოცხლის დამთავრებას ემთხვევა“. ხის ბუნებრივი სიმწიფის ტექნიკურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს თანასწორობა მერქნის შემატებასა და ნაკარგს შორის წვერებმელობისა და გულის სიღამპლის გამო, შემდეგ კი მისი მასის შემცირება (2).

როგორც აღნიშნეთ, საკურორტო ტყეების საპარკო მეურნეობაში ხევბის ჭრა სიმწიფის სრულ ასაკში. წარმოებს; ამ ვადის დადგომა კი დამოკიდებულია ჯიშზე. მისი ზრდის ადგილსამყოფელის პირობებისა და წარმოშობაზე (თესლით თუ ამონაყრით). მაგალითად, ამონაყრით წარმოშობილ ხევებს მაღალი (ცუდი) ბონიტეტის პირობებში ბუნებრივი სიმწიფის ხნოვანება გაცილებით უფრო ადრე უდგება, ვიდრე ზრდის ადგილსამყოფელის კარგ პირობებში.

სატყეო მეურნეობის პრაქტიკაში სხვა შემთხვევებში ბუნებრივი სიმწიფის გამოყენებას არ აქვს ადგილი. ამიტომ უსაფუძვლო როდია ზოგიერთი სპეციალისტის შეხედულება, რომ ტყის მოწყობის ტექნიკისათვის საკითხი ბუნებრივი სიმწიფის შესახებ ნაკლებ ინტერესს წარმოადგენს (3).

საკითხი ფაზიკური ანუ განახლებითი სიმწიფის შესახებ სატყეო მეურნეობაში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც თესლის დროულად, ხარისხობრივად და დიდი რაოდენობით შეგროვებას ტყის ხელოვნურად გასაშენებლად კარგი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება.

საკითხს ტყის კორომების მსხმოიარობის დაწყებისა და აგრეთვე ამონაყრითი უნარიანობის ზღვრის შესახებ მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტყის ჭრის ესა თუ ის სისტემა ბუნებრივი განახლების ამა თუ იმ სახეს ეყრდნობა.

თუ სატყეო მეურნეობა მთლიანად ბუნებრივ განახლებას ეყრდნობა, მაშინ ჭრის დანიშვნა იმ ვადაზე ადრე, ვიდრე ხევები მოგვცემს თესლის ხარისხოვან და უხვ მოსავალს, რასაკვირველია, დაუშვებელია. მაგრამ სატყეო

მეურნეობის პრაქტიკაში იშვიათია ჭრის დანიშვნა განახლებითი სიმწიფეს
დაღგომამდე და ამიტომ სიმწიფის ქვედა ზღვრისათვის ანგარიშის გულებულები
ტყის მოწყობას ჩვეულებრივად არც კი უხდება ხოლე. შედარებით წყრილი
სორტიმენტის მოჭრის დროსაც კი ხეები აღწევს იმ ხნოვანებას, როდესაც
ჩვეულებრივ პირობებში თესლის მოსავლიანობა უკვე უზრუნველყოფილია.
ტყის მოწყობაში განახლებითი სიმწიფის ზედა ზღვრის აცდენასაც არ შეიძ-
ლება ჰქონდეს აღგილი მაღლარ მეურნეობაში, ვინაიდან თითქმის წარმოუდ-
გნელია ტყის მოწყობის მიერ დადგენა ისეთი დიდხნოვანი ხეების მოჭრისა,
რომლებიც მნიშვნელოვნად იქნება მოკლებული მსხმოიარობის უნარიანობას.

ამგვარად, მაღლარ მეურნეობაში ტყას მოსაწყობად ჭრის ხნოვანების
განსაზღვრას განახლებითს სიმწიფესთან დაკავშირებით არსებითი მნიშვნელო-
ბა არა აქვს. მაგრამ ეს როდი ითქმის დაბლარი მეურნეობის შესახებ. აქ
ამოყრის უნარიანობის შენარჩუნების ვადა იმავე დროს განახლებითი სიმწიფის
ზედა ზღვას წარმოადგენს და კორომის ძირზე მეტი ხნით დატოვებას, ზოგ-
ჯერ ათი წლით გადაცილებითაც კი, შეუძლია ძირკვებიდან ამოყრის უნა-
რიანობის საგრძნობლად დაცემა გამოიწვიოს.

ფიზიკური სიმწიფის ქვედა ზღვარი, ე. ი. პირველი მსხმოიარობა და მი-
სი განსაზღვრა, უმნიშვნელოვანები საკითხია აკლიმატიზაციისათვის.

* „საჭიროა მხედლეობაში იქნეს მიღებული ისიც,—ამბობს ბუნების დიდი
გარღამებული ი. მიჩურინი,—რომ თესლის ლირსება მასი აკლიმატიზაციის
მიზნებისათვის დიდი ვარგისიანობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნადაა დამო-
კიდებული იმაზეთაც, შეგროვილია თუ არა იგი ახალგაზრდა მცენარის პირ-
ველი თუ შემდგომი მსხმოიარობის ნაყოფებიდან. პირველი ნაყოფმსმოიარობა
ყოველთვის საუკეთესო თესლს იძლევა, ხაიდანაც შეუჩვეველი პირობებისადმი
შეეცების მეტად დიდი უნარის მქონე ნერგები მიიღება. ნაყოფმსმოიარობის
შემდგომ წლებში კი ეს ლირსება თესლში თანდათან სუსტდება და ბოლოს
სრულიად ქრება“ (4). *

მაშასადამებ, აკლიმატიზაციის ხერხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები საქმეა
ხილან „სალი და აღმოცენების უნარის მქონე თესლის რაც შეიძლება მალე
მიღება, ე. ი. თითოეული ეგზებბლარის აღზრდა მისი ფიზიკური სიმწიფის
ხნოვანებამდე“ (5).

ტყის შასობრივი გაშენების დროს თესლის შეგროვებისათვის, და ტყის
ბუნებრივი განახლებისას ამა თუ იმ სისტემის ჭრის ვალის დადგენის გან-
საზღვრისათვის დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ტყის ჯიშის ფიზიკური
სიმწიფის დადგენას. ამასთან ერთად, მსხმოიარობის დასაწყისი, როგორც
ფიზიკური სიმწიფის ქვედა ზღვარი, მეტად დიდმნიშვნელოვანი მომენტია
ტყის ჯიშის აკლიმატიზაციის მიზნებისათვის.

აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალისტურ სატყეო მეურნეობაში ფი-
ზიკურ სიმწიფეს თავისი პრაქტიკული გამოყენება აქვს.

ტყის მეურნეობაში დადგენილია, რომ ამა თუ იმ ჯიშის კორომი თავის
არსებობის განმავლობაში აღწევს ისეთ ხნოვანებას, როდესაც ფართობის
ერთეულიდან მიიღება მაქსიმალური რაოდენობის მერქანი. ეს ხნოვანება რაო-

დენობითს სიმწიფედ არის ცნობილი და ემთხვევა საშუალო შემატების კულტურული ნაციის მოქმედების. ზოგჯერ ამ სიმწიფეს უდიდესი მატერიალური შემოსავლის სიმწიფეს უწოდებენ, ხოლო პროფ. ტურსკი (6) მას ეკონომიკურ სიმწიფეს უწოდებს.

რაოდენობითს სიმწიფეს შეტაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა საშეშე მეურნეობაში, როდესაც სოციალისტური მეურნეობა დაინტერესებულია მიიღოს ფართობის ერთეულზე მერქნის დიდი რაოდენობა. მაგრამ თუ მეურნეობის მთავარ მიზანს შეაღენს არა საშეშე, არამედ სამასალე სორტიმენტების მიღება, მაშინ, ცხადია, აქ რაოდენობითს სიმწიფეს ზემოაღნიშნული თვალსაჩინო მნიშვნელობა ეკარგება, რადგან საშუალო შემატების მაქსიმუმი და სორტიმენტის გამოსავლიანობის პროცენტის მაქსიმუმი შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს. ამიტომ ჭრის ბრუნვის დანიშვნა აქ რაოდენობითი სიმწიფის მიხედვით არ იქნება ყოველთვის მიზანშეწონილი; მეორე მხრივ, ბრუნვის ჭრის ბრუნვა არ შეიძლება იყოს ტექნიკური სიმწიფის ხნოვანების პერიოდზე უფრო მცირე; მაშასადმე, ის უნდა მოთავსდეს ტექნიკური სიმწიფის ხნოვანების ფარგლებში. ჭრის ბრუნვის რაოდენობის კონკრეტულად განსაზღვრისათვის შესწავლილ უნდა იქნეს სორტიმენტის წლიური საშუალო პროდუქტირების ოდენობა (7, 8), სორტიმენტზე მოთხოვნილების საკითხი, განსაკუთრებით სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ტყეების ნიადაგდაცვითი, საკურორტო მნიშვნელობა და სხვ.

ამგვარად, რაოდენობითი სიმწიფის გამოყენება სოციალისტურ სატყეო მეურნეობაში უმეტეს შემთხვევაში მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც კორომიწარმოადგენს მხოლოდ საშეშე ნედლეულს; სამასალე სორტიმენტების დამზადების შემთხვევაში მისი გამოყენების მიზანშეწონილობა პირობითაა და დამოკიდებულია მთელ რიგ სახალხო-სამეურნეო ფაქტორებზე (სორტიმენტზე მოთხოვნილების ოდენობა, ტყეების მიზნობრივი დანიშნულება და სხვ.).

რაც შეეხება რაოდენობითი სიმწიფის პერიოდის სიდიდეს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, საშუალო შემატების კულმინაციის, რომლითაც რაოდენობითი სიმწიფე ისაზღვრება, ის საკმაოდ ხანგრძლივია. ამ პერიოდის ფარგლებში საშუალო შემატება მასის მიხედვით მეტად უმნიშვნელოდ იცვლება. ეს გარემოება საკმაოდ ფართო გასაქანს იძლევა ტყის მოწყობისათვის რაოდენობითი სიმწიფის ხნოვანების დადგენაში.

საგსებით სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ორლოვი (2), რომ რაოდენობითი სიმწიფის ხნოვანება:

- ა) ძალიან მერყეობს ამორჩევითი მეურნეობის კორომებში;
- ბ) შედარებით ნაკლები რყევადობა აქვს ტყეკაფითი მეურნეობის მაღალტანოვან კორომებში;
- გ) მეტად მცირე ამპლიტუდით ხასიათდება ამონაყრითს მეურნეობაში. გადავიდეთ ხარისხობრივ სიმწიფეზე კაპიტალისტურ სატყეო მეურნეობის პირობებში. ტყის მფლობელი ყიდის ტყეს ძირზე და ღებულობს მომხმა-

რებლისაგან რენტას. აქ ჭრის ბრუნვა განისაზღვრება მაქსიმალური ლის საფუძველზე, რომელიც გამოიხატება ფორმულით:

$$W_r = \frac{A_u}{U} - (V + S), \quad \text{სადაც}$$

W_r — არის წლიური სატყეო შემოსავალი

A_u — შემოსავალი მთავარი სარგებლობიდან

U — ჭრის ბრუნვა

V — სატყეო მეურნეობის მმართველობის ყოველწლიური ხარჯები

S — სხვადასხვა გადასახადი.

ვინაიდან, ჯერ ერთი, მმართველობის ყოველწლიური ხარჯები და სხვა-დასხვა გადასახადი არ ახდენს გავლენას ტყის შემოსავლის შედარებითს ცვა-ლებადობაზე, მეორეც

$A = M \cdot Q$, სადაც

M — მთავარი სარგებლობის მარაგია

Q — ხარისხობრივი ციფრი, ამიტომ ფორმულას შეიძლება ასე-თი სახე მიეცეს:

$$W_r = \frac{M \cdot Q}{U}, \quad \text{ანუ } W_r = \frac{M}{U} \cdot Q = ZQ, \quad \text{სადაც}$$

Z — საშუალო შემატებაა.

ამგვარად, მაქსიმალური სატყეო შემოსავალი მიიღება საშუალო შემატებისა და ხარისხობრივი ციფრის ნამრავლის მაქსიმუმის დროს. აქედან უკვე ძნელი არაა ჭრის ბრუნვის U -ს განსაზღვრა, ანუ ხარისხობრივი სიმწიფის დადგენა. ტექნიკურად შედარებით რთულია ხარისხობრივი სამწიფის გან-საზღვრა, რადგან მერქნის ლირებულება ხის ხნოვანებასთან ყოველთვის როლია სწორ შეფარდებაში.

ხარისხობრივი სიმწიფე (ეს ტერმინი პირველად პროფ. რუძიკმ შემოიღო ხმარებაში) საკმად გამოყენებული იყო ძველი რუსეთის კერძო მფლობელობის პირობებში, მაგრამ სოციალისტური შეურნებობის პირობებში სატყეო მეურნეობა, რასაკვირველია, ძირითადად ვერ იხელმძღვანელებს მხოლოდ ხარისხობრივი ციფრის კრიტერიუმით; საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული იგრეოთვე სიმწიფის სხვა სახეებიც, რადგან სოციალისტური სატყეო მეურნეობა ვერ დაისახავს მიზნად უდიდესი მოვების მიღებას ყოველგვარ პირობებში, რაც კაპიტალისტური მეურნეობის პრიციპს შეადგენს.

ვინაიდან ერთი და იმავე ჯიშის მერქანს სხვადასხვა ხნოვანებაში სხვადა-სხვაგვარი გამოყენება აქვს, ამიტომ ტექნიკური სიმწიფის ხნოვანებას, ცხადია, მეტად დიდი ამპლიტუდა ახასიათებს. პროფ. კორში (3) აღნიშნავს ტექნიკური სიმწიფის რამდენიმე ხნოვანებას და ამბობს, რომ ყოველგვარ სიმწიფეში ფარული სახით შედის ტექნიკური სამწიფეც, რადგან იქაც ნაგულისხმევია მერქნის ამა თუ იმ მიზნისათვის დანიშნულება.

პროფ. ტერეხოდი (9) აღნიშნავს, რომ ტერმინი „ტექნიკური სიმწიფე“ მოთხოვთ არ ამაღლებით გარკვეული, რადგან ის არ იძლევა იმის წარმოდგენას, თუ როდის უნდა მოიჭრას ესა თუ ის კორომი და რადგან ტექნიკური სიმწიფეს დადგენა წარმოებს არა მერქნის ტექნიკური თვისებების, არამედ სორტიმენტის ზომების (სიგრძის და სისქის) მიხედვით, მისი შეხედულებით, უფრო ზუსტი იქნებოდა ამ სიმწიფეს „სასორტიმენტო“ სიმწიფე ეწოდოს. ეს მოსაზრება სწორია, მაგრამ, ვინაიდან ტერმინმა „ტექნიკური სიმწიფე“ კარგა ხანია მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება და მისი არსის დადგენაში გაურკვევლობას, ან ორაზროვნებას ადგილი არა აქვს, ამიტომ ის აქამდეც კი დარჩა ხმარებაში.

ტექნიკური სიმწიფეს განსაზღვრისათვის ფართო გამოყენება აქვს მარტინის ცნობილ ფორმულას:

$$u = a + \frac{dn}{2}, \quad \text{საღაც}$$

a — არის წელთა ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ხე სორტიმენტის სიგრძე გახდეს, რაც უდრის მორის მსხვილსა და წვრილ თავში წლიურ რგოლთა სხვაობას;

d — არის მორის დიამეტრი წვრილ თავში სმ-ობით;

n — წლიურ რგოლთა საშუალო რაოდენობა რაღისას ერთ სანტი-მეტრში მორის თავში.

მარტინის ფორმულის გამოსაყენებლად საჭიროა სელთ გვქონდეს კორომების სიმაღლეზე ზრდის მსვლელობისა და წლიური რგოლის საშუალო სიგანის სათანადო მონაცემები.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ტექნიკური სიმწიფის ხნოვანებას დიდი მერყეობა ახასიათებს.

თანახმად პროფ. ანშჩინის (10) ტყის მოწყობის ინსტრუქციის პროექტითავთ, თითოეული ჯიშისათვის, მათი მეტად გავრცელებულ სორტიმენტებად გამოყენებისას, ტექნიკური სიმწიფის ხნოვანება მერყეობს შემდეგ ფარგლებში:

ცხრილი 1.

| ჯ ი შ ი | წამყვანი სორტიმენტის დასახელება | ტექნიკური სიმწიფის ზღვრების შემთხვევაში | | მ რ ი ც ე ნ ე ბ უ ნ ე ბ ა ს |
|-----------------------------------|--|---|-------|-----------------------------|
| | | ზედა | ქვედა | |
| ფიჭვი, კედარი, ლარიქსი | სახერხი მორი, სამასალე სკ-ტყე | 140 | 80 | 110 |
| ნაცი | " " | 120 | 80 | 100 |
| სოჭი | " " | 100 | 80 | 90 |
| არყი | საფანერე, სათხილამზრე და სახერხი მორი | 70 | 50 | 60 |
| ვერხვი | სასანთო მორი | 60 | 40 | 50 |
| შუა თესლით წარმო- შობილი | საფანერე, სახერხი და სატკე- ჩე მორი | 140 | 100 | 120 |
| მუხა ამონაყუი ით წარ- მოშობილი | სახერხი მორი | 80 | 50 | 60 |

საქართველოს ტყეებისათვის საქ. სსრ საკომისაბჭოს 1945 წ. 2 აგვისტოს
დადგენილებით განსაზღვრულია (13) ტექნიკური სიმშიფის ხნოვანება და დია-
მეტრები. ამის შესახებ ცნ.იბები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2.

| მერქნიან ჯიშთა დასახელება | ტყის სიმში- ფის ხნოვა- ნება ყველა ბონიტეტისა- თვის | ტექნიკური სიმშიფის დამეტრები | |
|--|--|---------------------------------|-----------------|
| | | I და II ბონიტეტი | III ბონიტეტი |
| 1. ნაძი | 120—150 | 52 | 48 |
| 2. სოჭი | 120—150 | 60 | 56 |
| 3. ფიჭვი | 100—120 | 48 | 40 |
| 4. წიფელი | 120—150 | 56 | 52 |
| 5. რცხილა | 80—100 | 44 | 36 |
| 6. წაჲლო | 120—140 | 56 | 50 |
| 7. მუხა | 150—200 | 48 | 44 |
| 8. ოელები, ნეკერჩელი, ბოყვი, იფანი . . | 100—120 | 52 | 44 |
| 9. მურყანი სამასალე | 50 | 36 | 36 |
| „ საშეშვ | 30 | 20 | 18 |
| 10. ცაცხი | 80—100 | 52 | 48 |

ვინაიდან ტექნიკური სიმშიფე ჯიშთა უმეტესობისათვის შეიცავს საჭ-
მაო ამტლიტუდას ხნოვანებათა შორის, ეს გარემოება შესაძლებლობას აძლევს
ტყის მომწყობს ერთგვარი მანევრირება მოახდინოს მოსაპრელი მარაგის გან-
საზღვრის დროს.

როგორც ზემოაღნიშნული მასალებიდან ჩანს, ტექნიკური სიმშიფე არ-
სებითად სხვადასხვაგვარია. სატყეო ლიტერატურაში უკანასკნელ ღრუს ხშირად
გვხვდება ტერმინები: სიმშიფე სახერხი მორისა, სიმშიფე შეშისა, სიმშიფე საფა-
ნერე მერქნისა, სიმშიფე საცელულოზე—საბიჯვე მასალისა და სხვ. (11). სიმ-
შიფის თითოეულ სახეს, თავისთავად ცხადია, თავისი ხნოვანება აქვს, რაც თი-
თოეული ჯიშისათვის დამოკიდებულია ბონიტეტის თანაბარ პირობებში სორ-
ტიმენტზე.

ჩვენს პირობებში ტექნიკურ სიმშიფეს ტყის მეურნეობაში განსაკუთრე-
ბული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამა თუ იმ სორტიმენტის სათანადო რაოდე-
ნობის დამზადებით უზრუნველვყოფთ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას.

ვინაიდან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს ესაჭიროება ესა თუ ის

дактилата се селектира, а министрът има съгласие да се използват и унгарски сортове. Въвеждането на сортове със съществуващи външни и вътрешни проблеми е създадено във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми.

Съществуващите външни и вътрешни проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми. Външните проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми.

Съществуващите външни и вътрешни проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми. Външните проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми.

Съществуващите външни и вътрешни проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми.

Съществуващите външни и вътрешни проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми. Външните проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми.

Съществуващите външни и вътрешни проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми. Външните проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми.

Съществуващите външни и вътрешни проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми. Външните проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми.

Съществуващите външни и вътрешни проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми. Външните проблеми са създадени във връзка със съществуващите външни и вътрешни проблеми.



ბად, მორები და ფიცრები კი ამერიკიდან უნდა გვეზიდათ“. მაშასადამე, ჭრულებული ბის ფანანსური სიმწიფის მიხედვით დადგენის შემთხვევაში „რამდენიმე თაობა,—განაგრძობს პროფ. რუძი,—იძულებული გახდება ისე დარჩეს, რომ მას ადგილობრივი მსხვილი მერქანი აღარც კი ეწნეს“.

პროფ. არნოლდიც, თუმცა ის საერთოდ აღიარებდა ფინანსურ პრინციპს, იმდროინდელ ეკონომიურ პირობებში მაინც მიულებლად თვლილა რუსეთის ტყეებისათვის ამ პრინციპის საფუძველზე ჭრის ბრუნვის წარმოებას, ვინაიდან ეს გამოიწვევდა ტყის დიდი მარაგების მოჭრას, რის განხორციელება ხშირად შეუძლებელიც კი იქნებოდა (2). ფინანსური სიმწიფის პრინციპის დაცვისას დიდი მარაგების მოჭრა იმით არის გამოწვეული, რომ, როგორც მართებულად ამბობს პროფ. პერეხოლი, ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობენ ხოლმე განსაზღვრული პროცენტით („ზრდის ნორმა“), რომლის ქვევით ტყის მეურნეობაში დაბანდებული კაპიტალის მოგების შემცირება ჩვეულებრივად არ ხდება, მაშასადამე, კორომი შეიძლება ფინანსური სიმწიფის თვალსაზრისით მწიფედ ჩაითვალოს ახალგაზრდობაში, როდესაც ის უკვე უზრუნველყოფს ზემოხსენებულ საჭირო პროცენტის მიღებას; შემდეგ კი, თუ კორომი მოუჭრელი დარჩა, ის ამ საჭირო პროცენტზე ნაკლებს მოგვცემს.

„საკითხი ფინანსური სიმწიფის შესახებ,—ამბობს პროფ. პერეხოლი (9),— სატყეო მეურნეობაში მჭიდროდაა დაკავშირებული კაპიტალიზმის განვითარების ტენდეციებთან“. „ამიტომ,—განაგრძობს პროფ. პერეხოლი,—ჩვენთვის სამეურნეო და ფინანსურმა სიმწიფეებმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა“. მართლაც, ვინაიდან საბჭოთა მეურნეობის სისტემა, ეყრდნობა გეგმიანობის პრინციპს, მიზნად ისახავს მშრომელთა მატერიალურ-კულტურულ იღმავლობას და არ ეჭვედებაონება კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის პრინციპს, ამიტომ მიუღებელია მისთვის სამეურნეო და ფინანსური სიმწიფეც.

ამგვარად, ვხედავთ, რომ საკითხი—იმის შესახებ, თუ რა ხნოვანებაში უნდა მოიჭრას კორომი ანუ როლის არის ის მწიფე, მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია სატყეო მეურნეობაში.

ბურუუაზიული სატყეო მეურნეობა, რასაკირველია, თავის შინაარს აძლევს როგორც ტყის სიმწიფის ცნებას, ისე აქცევან გამომდინარე ჭრის ხნოვანებასაც, სახელდობრ მათი განსაზღვრა სატყეო მეურნეობაში კაპიტალის-ტური ინტერესებიდან გამომდინარეობს.

სოციალისტურ სატყეო მეურნეობაში კი ტყის სიმწიფის სახელის სულ სხვა შინაარსი აქვს. ეს სახეები ძირითადად უპასუხებს სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილებებს. ამიტომ, მართებულად ამბობს პროფ. პერეხოლი, რომ „ტყის მოწყობის ზოგიერთი კატეგორია რჩება სოციალისტურ სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის პირობებშიაც, ხოლო მათი შინაარსი იცვლება სოციალისტური სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილებათა შესაბამისად.

კორომის სიმწიფე წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ მოთხოვნილების ტექნიკურ გამოსახულებას, რომელიც სატყეო მეურნეობის მიერ უნდა იქნეს დაქმაყოფილებული.



ფორმიან კულტურათა წარმოებისას არა მარტო ნაგალა საძირებს იყენებენ, არამედ იმისდა მიხედვით, თუ როგორი ზრდის უნარის ფორმიანი ხის აღზრდა საჭირო, მიმართავენ როგორც ნაგალა, ისე სუსტ, ნახევრად ძლიერ და ძლიერ საძირებზედაც ხევბის აღზრდას.

ჩეენში ნაგალა-ფორმიანი კულტურის წარმოებას პრაქტიკაში არ მისდევენ ამჟამად, მაგრამ სულ ახლო მომავალში, დიდი ქალაქების აზლოს, მის წარმოებას უსაოურო ექნება ადგილი.

შარაგზების შეხილეობა მეტად სპეციფიკურია. შარაგზების და სასოფლო გზების გამწვანებისა და საჩრდილობელი ხეივნების შესაქმნელად სხვა ფოთოლოვან ხეთა შორის, რგვენ ხეხილსაც. ხეხილის გაშენებას გზების გასწროვ, გარდა გამწვანებისა და საჩრდილობლისა, ის მიზანიც აქვს, რომ მათი მოსავლის ღირებულებით შეიძლება გზების შეკეთება.

შარაგზების ნარგაობისათვის იყენებენ მხოლოდ ახოვანტანიან, მაღალ-შტამბიან ხევბის, როგორიცაა — კავალი, თუთა, მსხალი, ვაშლი, ქლიავი, კავკასიური ხურმა, წაბლი, ჰექანი, ფშატი და სხვ. ჩეენში ცველაზე მეტ მიზან-შეწრნილ კულტურად შარაგზებისათვის უნდა ჩაითვალოს კაკლის ხე, კავკასიური ხურმა, მსხლისა და ვაშლის ძლიერად მოზარდი ხევბი.

შარაგზების ხეხილის ნარგაობის გაშენებას ჩეენში მეტად ფართოდ აწარმოებენ. მაგ., თბილისი-გორის და თელავ-ვერალის, თელავ-ნაფარეულის, ლაგოდებ-ზაქათლის შარაგზები კაკლის ხევბითაა გაშენებული.

ტყე-ბალების ნარგაობის ტიპი თვეისებურია იმ მხრივ, რომ რაიმე გარკვეული ნარგაობის სახე არ ახასიათებს. ტყის სხვა კულტურებთან ერთად მოზარდ გარეულ ნაყოფმომცემ პანტის, მაჯალოს, ბალამწარას და სხვა ხევბზე ამყნბენ კულტურულ ჯიშებს. ადამიანის როლი მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ უჯიშო ხეხილის ძირზე კულტურული ჯიშები გადამყნოს, არამედ:

1. გამოხშიროს ხეხილებს შორის მოზარდი ტყის ჯიშები, რომლებიც გაკულტურებულ ნამყენებს ჩრდილავს.

2. შეავსოს ტყის მასივის ლია ადგილები ტყეში მოზარდი უჯიშოების დარგვით და მათი დამყნბით.

3. კარგი გაშუქების თვალსაზრისით შექმნას ტყეში საჭირო ფანჯრები და სხვა.

ტყე-ბალების მოსავალი, როგორც წესი, დაბალი ხარისხისაა, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ნაწილობრივ დაჩრდილვას და ტყიდან მავნებელთა

შემოსევას აქვს ადგილი; ამასთან დაბალია აგროტექნიკის დონე, გვიან მუშაობის განვითარების მიზანი, ბარის ბალების ნარგაობასთან შედარებით, დაბალი ხარსხისა ა ჯიშური შემადგენლობა, რადგან ტყე-ბალების ნაზი ჯიშებით გაშენება ნაკლებად პერსპექტიულია და არასაიმედო.

საქართველოში ბოლო ხანებში, ტყე-ბალების გაშენებას მეტად ფართოდ იწარმოებენ. საქართველოს მეხილეობის წამყვან და ძირითად ტიპად საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა ფართო სამრეწველო მასშტაბის მქონე სამრეწველო ბალები ითვლება. საკარმიდამო ბალები და ბალის მოყვარულთა ნარგაობები დამხმარე ტიპია. რაც შეეხება ფორმიანი კულტურების წარმოებას, იგი მხოლოდ პერსპექტიულია.

შარაგზებისა და ტყე-ბალების ხეხილის ნარგაობის წარმოება ამჟამად მეტად ფართოდაა გამზღვილი და იგი სახელმწიფოსათვის დამატებითი შემოსავლის მომცემი გახდება.

Проф. Н. ХОМИЗУРАШВИЛИ

ТИПЫ ПЛОДОВЫХ НАСАЖДЕНИЙ, ИХ ЭКОНОМИЧЕСКАЯ И ПРОИЗВОДСТВЕННО-ОРГАНИЗАЦИОННАЯ ХАРАКТЕРИСТИКА

РЕЗЮМЕ

В Грузинской ССР встречаются следующие типы плодовых насаждений: приусадебные, любительские, промышленные, полу-промышленные и карликово-формовые, шоссейные, плодовые и лесосады.

Типы плодовых насаждений определяются следующими показателями: государственное задание, своеобразность организации территории, способы рентабельного освоения площадей под плодовые насаждения и система размещения, направление плодового хозяйства, выход товарной продукции и ее себестоимость (качество и количество), уровень применяемой агротехники (уровень механизации), организация труда, количество отходов и потери.

По всем вышеназванным показателям, самым примитивным является приусадебное плодовое насаждение, которое постепенно развиваясь, перерастает сперва в любительский, а потом в полу-промышленный тип плодоводства.

В нашей действительности в настоящее время можно встретить все типы плодовых насаждений, начиная с приусадебного вплоть до широкопромышленного.

Приусадебное плодоводство характеризуется следующими показателями: способ посадки плодовых деревьев применяется по усмотрению колхозника. Элементы влияния государственного заказа частично отражены в том, что посадочные материалы колхозниками большей частью приобретаются в государственных плодовых питомниках. Основным назначением приусадебного плодоводства является удовлетворение свежими и сушеными плодами потребностей семьи колхозника, и только лишь излишки выносятся на рынок.

В приусадебном плодоводстве также часто находим отражение элементов как орнаментального садоводства, так и любительского плодоводства.



Сорт подбирается по усмотрению владельца. Состав породы бывает более пестрый, чем состав сортов отдельных пород, площадь под плодовым насаждением осваивается рельефно или деревья сажаются вразброс, уровень агротехники низкий, отходы и потери не значительны.

Любительское плодоводство отличается от приусадебного еще более пестрым подбором ассортимента, в выборе которого часто имеется определенная направленность. Сорта набираются консервные, на сушку или столовые. Выход товарной продукции бывает выше, чем от приусадебного плодоводства. Приусадебное плодоводство перерастает в любительское по следующим показателям: площадь сплошная почти всегда под плодовыми насаждениями; ведущую роль в сортименте занимают промышленные сорта, насаждение носит то или другое направление, выход товарной продукции растет, агротехника улучшается, себестоимость продукции низкая.

Промышленные и полупромышленные типы плодовых насаждений характеризуются следующими показателями: плодовые деревья сажаются по строго установленной системе, площадь под плодовые насаждения осваивается под углом зрения максимальной эффективности и высокой рентабельности. Точная оценка экофакторов происходит с точки зрения их влияния на культивируемые сорта, высокий уровень агротехники, обеспечение опыления перекрестно опыляемых сортов и целесообразное размещение опылителей в насаждениях. Основные требования, предъявляемые к сорту, следующие: раннее вступление в пору плодоношения, приспособляемость к среде, морозо-засухоустойчивость, низкая подвергаемость к заболеваниям и вредителям. Продукцию промышленного сорта характеризует: доброкачественный и регулярный урожай, средний калибр плода, с привлекательной окраской, хорошая лежкость и транспортабельность, а также ничтожные отходы и потери. Крона должна быть компактной, устойчивой, крепкой, не должна ложиться на землю при хорошем урожае. Плодовые образования большей частью должны быть короткие (колчатки и т. д.).

Шоссейное плодоводство в Грузинской ССР, за последнее время широко внедряется. На сотни километров обе стороны шоссейных дорог (Тбилиси-Гори, Телави-Кварели, Телави-Напареули, Лагодехи-Закаталы и т. д.) сажены ореховыми деревьями. Основные показатели шоссейного плодоводства следующие: подбор сортиимента, хорошо переносящего запыление и малотребовательного к среде. С целью своевременного сбора плодов, подбор сортов обеспечивающих одновременное спелование. Деревья должны быть высоки-

штамбовые, быстро и сильнорослые, к тому же дающие сибирский
тенев и должны быть с высокой засухоустойчивостью.

За последнее время лесосады приобретают в условиях Грузии
большое значение.

Тип лесосадов характеризуется следующими показателями:
размещение деревьев естественное, сорта подбираются для пере-
прививки, устойчивые против вредителей и болезней. По мере воз-
можности деревья выращиваются среднештамбовые. Сорта должны
выносить незначительные затенения, окна—просветы в лесу дол-
жны быть, обязательно. Подсадка плодовых является необходимой
с целью угущения естественного насаждения. Агротехника специ-
фическая в условиях рельефного размещения деревьев.

Труды Грузинского Ордена Трудового Красного Знамени СХИ
им. Л. П. Берия, т. XXXII, 1949.

დოც. ი. დოლიძე
ტექნ. მეცნ. კანდიდატი

მუხის აბრეშუმმქსოვის პარკი და მისი ტექნოლოგიური
თვისებები

ბუნებაში ვხვდებით აბრეშუმმქსოვის მრავალ სახეობას, მაგრამ სამრეწ-
ველო გამოყენება მხოლოდ რამდენიმე მათგანს აქვს.

საერთოდ აბრეშუმმქსოვს ვიცნობთ მოშინაურებულს და გარეულს. გა-
რეულთა შორის აღსანიშნავია ჩინური შუხის აბრეშუმმქსოვი, რომელიც წე-
ლიწადში ორჯერ იძლევა პარკის მოსავალს—გაზაფხულსა და შემოდგომაზე. იგი იკვებება მხოლოდ და მხოლოდ შუხის ფოთლით. მას ისევე, როგორც
თუთის აბრეშუმმქსოვს, აქვს ცხოვრების ხუთი პერიოდი და დღიდან თესლის
გაცოცხლებისა პარკის ახვევამდე სკირდება 50—60 დღე. მეტებ ასაკში მი-
სი წონა აღწევს 16 გრამამდე და ორჯერ უფრო მძიმეა ამავე ასაკის თუთის
აბრეშუმმქსოვის ჭახებ.

მუხის აბრეშუმმქსოვის ჭიას მესამე ასაკამდე კვებავენ შენობებში მუხის
ბუჩქებიდან მოჭრილ ფოთლებიან ტოტებზე, ხოლო მესამე ასაკიდან გადაყავთ
მუხის ბუჩქვან ტყეში. იქ იგი იკვებება ცის ჭვეშ მუხაზე და იქვე ახვევს
პარკს ფოთლებში, რის გამოც რამდენიმედ გაძნელებულია პარკის მოსავლის
აკრეფა.

მუხის აბრეშუმმქსოვის ჭიას ტყეში ბევრი მტერი ჰყავს ფრინველების,
ქვეწარმავლებისა და სხეათა სახით. მიუხედავად იმისა, რომ ტყეში ჭია გადა-
ყავთ მესამე ასაკიდან, ე. ი. მაშინ, როდესაც მას მეტი უნარი აქვს მტაცებ-
ლებისაგან თავის დაცვისა, იგი ფერითაც უკეთესადაა შეხამებული ბუჩქთან,
უკეთ მოძრაობს და სხვ., ჭიების 30—40% მაინც იღუპება ზემოხსენებული
მტაცებლებისაგან.

მუხის აბრეშუმმქსოვის ჭიას საერთოდ უწოდებენ გარეულს, რაც ჩვენის
აზრით, სავსებით სწორი არ არის, რადგან თესლის გაცოცხლება, მესამე
ასაკამდე მოვლა და კვება წარმოებს ჩევულებრივ შენობებში, მსგავსად თუ-
თის აბრეშუმმქსოვს ჭიისა. მუხის აბრეშუმმქსოვი (A. Pernyi) უნდა მიე-
კუთვნოს ნახევრად მოშინაურებულს და არა გარეულს.

შუხის აბრეშუმმქსოვის სამშობლოდ თვლიან მანჯურიას. ამ უკანასკნელი
პერიოდში მან გავრცელება პოვა სხვა ქვეყნებშიაც (ჩინეთში, მონღოლიაზე და სხვ.).

რუსეთის ყოფილ იმპერიაში მუხის აბრეშუმმქსოვის გასავრცელებლად,
როგორც ამას აღნიშნავს მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის პროფესორი ვ. ვ.
ლინდე¹, პირველი ცდები ჩაუტარებით საქართველოში 1873 წელს. მაგრამ
მაშინ ამ წამოწევებისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ და ცდები
უშედეგოდ დამთავრებულა. ცდები მუხის აბრეშუმმქსოვის გასავრცელებლად
საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველად ისევ საქართველოში იქნა დაწყე-
ბული 1933—34 წელს (ამიერკავკასიის მეაბრეშუმმეობის სამეცნიერო-საკვლევ
ინსტიტუტში). ამჯერად ცდებისათვის საჭირო მასალა შემოტანილ იქნა მან-
ჯურიიდან.

ჩატარებული ცდების შედეგად პირველად საბჭოთა კავშირში იქნა და-
მუშავებული მუხის აბრეშუმმქსოვის თესლის დამზადების, მისი გამოცემე-
ბისა და ასაკების მიხედვით ჭიის გამოკვების მეთოდები, პარკის გამოკრეფისა
და გამოხსრების ტექნიკა და დაყენებულ იქნა ცდები პარკის გადამუშავების
ტექნოლოგიის შესასწავლად.

მიუხედავად იმისა, რომ მუხის აბრეშუმმქსოვი დიდი ხანია რაც არსე-
ბობს ამდღენიმე ქვეყანაში, მისი გამოკვებისა და მოვლის მეთოდები ჩვენთვის
მაინც უცნობი იყო, რადგან ისინი ამას ინახავდნენ საიდუმლოდ. ამიტომ გა-
საკვირი არ არის, რომ ამ ახალი და ჩვენთვის უცნობი საქმის შესწავლა მოგ-
ვისა და თავიდან და დასახული მიზნის მისაღწევად გაწეულ იქნა დიდი შრომა.
ამ ცდების მონაწილეთაგან აღსანიშნავია გოგი ქუთათელის (დაილუპა სამა-
შულო ომში), ინა ჯაფარიძის (საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის მეაბრეშუმმეობის
კათედრის ასპირანტი), ალექსანდრე იაშვილის გაგრის რაიაბრეშუმის გამგე)
და სხვების დაუღალავი მუშაობა.

თუ საიდუმლოებით იყო მოცული მუხის აბრეშუმმქსოვის ჭიის კვების, თეს-
ლის გამოცემებისა და საერთოდ მისი მოვლის საკითხები, კიდევ უფრო მე-
ტი საიდუმლო ფარგლით იყო შემოსილი მის მიერ ახვეული პარკის გადამუშა-
ვების ტექნოლოგია. ამიტომ, მუხის აბრეშუმმქსოვის იგროტექნიკის შესწავლა
ლასთან ერთად ჩატარებულ იქნა საკვლევი მუშაობა პარკის და მისი ტექნი-
ლოგიის შესასწავლად.

მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცე-
სის დამუშავება როტულია და ერთგვარად საინტერესოც, რადგან სხვა სახის
პარკთან შედარებით მეტად თავისებურია. იგი მათგან განახვავდება როგორც
მორფოლოგიურად, ისე პარკის გარსის ქსოვის სტუქტურით და ქიმიური
შემადგენლობითაც.

ძირითადი განსხვავება მაინც იმაში მდგომარეობს, რომ მუხის აბრეშუმ-
მქსოვის პარკის გარსი ერთ ბოლოში (თავში) ნახევრიდ ლითა და პარკის ძა-
ფები გარსზე ისე მაგრადა ერთიმეორესთან შეწებებული, რომ მისი დარღვევა
პარკის ჩვეულებრივი დაღმბობით და მოხარუშით, როგორც ეს ხდება თუოთს

¹ პროფ ვ. ვ. ლინდე—Учение о шелке, М., 1940 წ., 83. 76.



აბრეშუმმქსოვის პარკის გადამუშავების დროს, შეუძლებელი აღმოჩნდა. უკანასკნელი ტომაც საკვლევი მუშაობა მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის შესასწავლად დაწყებულ იქნა თავიდან.

მუხის აბრეშუმმქსოვის პარკი ძირითადად მოყავისფროა. მოცულობით და წონით ის თითქმის 2-ჯერ მეტია თუთის აბრეშუმმქსოვის პარკშე. ძაფუნების განლაგება პარკში არის არა რვაინისებრი ფორმის (როგორც ეს თუთის აბრეშუმმქსოვის პარკშია), არამედ სპირალისებრი. მისი პარკის გარსი მის ზედაპირზე უფრო არათანაბარი სისქისაა, ვიდრე თუთის აბრეშუმმქსოვის პარკისა. ამიტომ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის დარღვევა მიმდინარეობს სულ სხვაგვარად, ვიდრე თუთის აბრეშუმმქსოვის პარკისა. ასე, მაგ., თუთის აბრეშუმმქსოვის პარკი დარღვევისას წყლის ზედაპირზე ტრიალებს პერიოდულად. ეს გამოწვეულია ალბათ იმით, რომ მუხის აბრეშუმმქსოვის ჭია პარკს ახვევს გარსის არა ყოველ ნაწილში თანდათანობით გადასცლით, როგორც ამას აკეთებს თუთის აბრეშუმმქსოვი, არამედ იგი მორიგეობით გაღადის პარკის ერთი ადგილიდან მეორეში შედარებით ხანგრძლივი დროის შემდეგ. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ მუხის პარკის დარღვევის პროცესი პარკის ერთ რომელიმე ადგილას გრძელდება უფრო დიდი ხნის განმავლობაში, ვიდრე თუთის აბრეშუმმქსოვის პარკისა. მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის ძაფის სიმსხო უდრის 5—7 დრენის და ის ორჯერ უფრო მსხვილია თუთის აბრეშუმმქსოვის პარკის ძაფშე. მუხის აბრეშუმმქსოვის პარკში წებოვანი ნივთიერება, ე. წ. სერიკინი საშუალოდ უდრის 15%-ს, ხოლო თუთის აბრეშუმმქსოვის პარკში იგი 20—35%-მდე.

როგორც ცნობილია, თუთის აბრეშუმმქსოვის პარკი ჯიშებისდა მიხედვით სხვადასხვა ფერისაა. ამ ბუნებრივი სალებავით შეღებილია აბრეშუმში მხოლოდ წებოვანი ნივთიერება — სერიკინი.

ამიტომ თუთის აბრეშუმმქსოვის პარკისაგან დამზადებული ხამი ქსოვილის გამოხარშვისას, სერიკინთან ჟრთად, მას სცილდება იღნიშნული ბუნებრივი სალებავიც, რის გამოც სხვადასხვაფერის პარკისაგან მიღებული ქსოვილის გამოხარშვის შემდეგ ყოველი მათგანი გამოდის თეთრი. მუხის აბრეშუმმქსოვის პარკში კი შეღებილია არა მარტო სერიკინი, არამედ აბრეშუმის ნამდვილი მასა, ე. წ. ფიბრონიც. ამიტომაც მუხის აბრეშუმმქსოვის ხამი ქსოვილის გამოხარშვისას ბუნებრივი სალებავი მას აა სცილდება. ამის გამო მის ქსოვილს გამოხარშვის შემდეგაც აქვს პარკის ფერი, — ლა ყავისფერი და ასევე იყიდება მისი მრავალი სახის ქსოვილი, მათ შორის ყველასათვის ცნობილი ჩესუჩა.

მუხის პარკის ტექნოლოგიური თვისებების შესწავლა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით — ქიმიური მეთოდით (ვ. ჩიქვანი — ხელმძღვანელი კ. გამსახურდია). და ფიზიკური-მექანიკური მეთოდით (ამ სტატიის აგტორი — ხელმძღვანელი ლ. გოგოლაშვილი). ექ ძირითადად შევეხებით ფიზიკურ-მექანიკური მეთოდით ჩატარებული მუშაობის შედეგებს.

საცდელად ავიღეთ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკი კასპის რაიონში 1937 წლის გაზაფხულის გამოკვებიდან. პირველ რიგში გამოვარკვიეთ საცდელად

აღებული პარკის ხარისხთან გარსის სისუფთავისა და მისი სიმკვრივის მიხედვით. დახარისხების შედეგი ასეთი იყო:

| | |
|----------------------------------|--------|
| 1. ნორმალური ხარისხის პარკი | 74,45% |
| 2. დაჭილებილი და ლაქებიანი პარკი | 23,58% |
| 3. დომფალი პარკი | 1,97% |

საერთოდ უნდა აღინიშნოს ერთი შეტად საინტერესო ფაქტი, სახელ-დობრი ის, რომ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის მოსავალში 4—5-ჯერ ნაკლებია დომფალის (ორი და მეტი აბრეშუმმქსოვის ჭიის მიერ ახვეული პარკი) რაოდენობა; ვიდრე თუთის აბრეშუმმქსოვის პარკის მოსავალში. ეს გარემოება შევამჩნიეთ პარკის მრავალჯერ დახარისხების დროს. ჩვენის აზრით ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მუხის აბრეშუმმქსოვი, პარკს ახვევს მუხის ხის ბუჩქე, მასზე კი ბეკრია განტოტვა და მრავალია ფოთოლიც, ე. ი. ისეთი აღილები, ხადაც აბრეშუმმქსოვის ჭიის უფრო თავისუფლად შეუძლია (მეორე და მესამე აბრეშუმმქსოვის ჭიისაგან დამოუკიდებლად) აახვიოს პარკი. ამ საშუალებას კი მოკლებულია თუთის აბრეშუმმქსოვი, რადგან მას პარკის ახვევა უხდება ადამიანის მიერ კონებად შეკრულ და ლასტებზე ჩადგმულ ცახებზე, სადაც ისინი შედარებით მეტ სივიწროვეს განიცდიან.

შესაძლებელია ამაზე მოქმედებდეს ეკოლოგიური ფაქტორიც. საჭიროა ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ბიოლოგებმა, რადგან თუთის აბრეშუმმქსოვის ჰიბრიდულ კომბინაციებში, რომლებსაც წარმოებაში უჭირავს 95%, დომფალი პარკის რაოდენობა აღწევს 6—7%-მდე. დომფალი პარკი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს წესს. მისგან ჩვეულებრივი მეთოდით არ იხვევა ძაფი. ამიტომ პარკის მოსავალში დომფალი პარკის შემცირებით ნორმალური პარკის რაოდენობის გაზრდა, მეტად მნიშვნელოვანია ყოველმხრივ.

მუხის აბრეშუმმქსოვის პარკი აღმოჩნდა სამგვარი ზომისა: მსხვილი, საშუალო და წვრილი. მათი ურთიერთ შეფარდება ასეთი იყო: მსხვილი ზომის 10,5%, საშუალო ზომის—70,6%, ხოლო წვრილი ზომის—18,9%. ფორმის მიხედვით პარკი ორგვარია: ოვალური (კვერცხისებრი) და წაწვეტებული. გვხვდება აგრეთვე მომრგვალო პარკებიც (ასეთია უმთავრესად დომფალი პარკი). მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის მოსავალში წელიანი ფორმის პარკი სულ არ შეგვხვედრია. მუხის აბრეშუმმქსოვის პარკი ძირითადად მოყვისფროა, მაგრამ პარკის მოსავალში ამ ძირითადი ფერიდან ემჩნევა გადახრებიც. ზოგ პარკს გადაკვრიან მოთეთორო ფერი, ზოგი ბაცი ყავისფერია, ზოგიც მოყანებისფრო ყავისფერი.

ჩვენ მიერ საცდელად აღებულ პარკის პარტიაში ბაცი ყავისფერი შეადგენდა 30,5% -ს, მუქი ყავისფერი—59,3% -ს და მოთეთორო—10,3% -ს. მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის ფერს, როგორც შემდგომ გამოირკვა, დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ჩატარებული ცდებით დადასტურდა, რომ რაც უფრო ბაცი ყავისფერია პარკი, მით უფრო კარგად ირლვევა იგი, ე. ი. იძლევა უფრო მეტ სასარგებლო ძაფს. პირიქით, რაც უფრო მუქი ყავისფერია პარკი, მით უფრო ცუდად ირლვევა, სასარგებლო ძაფს იძლევა უფრო მცირეს და მისი გადამუშა-

ვერა ხასიათდება დაბალი ნაყოფიერებით. სამწუხაროდ, ჯერჯერობით სამწუხადი ლონდ არ პარის ზაღვის ნაირფეროვნება. იმის შესახებ არსებობს რამდენიმე მოსახრება. ზოგი ამას ხსნის სხვადასხვა მუხის ფოთლის არაერთნაირი ქიმიური შემაღვენლობით, ზოგი იმით, რომ თითქოს ზოგიერთი ჭია ფოთოლოან ერთად ტოტის მერქანსაც სჭმდეს, ზოგი კიდევ იმ აზრისაა, რომ პარკის ნაირფეროვნება და მისი ქიმიური თვისებები დამოკიდებულია იმ სითხეზე, რომლითაც ის ასეველებს პარკს შიგნიდან მისი ახვევის შემდეგ და სხვ. ჩვენის აზრით საჭიროა ამ საკითხის დეტალურად შესწავლა, რათა საბოლოდ იქნეს გამორკვეული ის მიხეზი, რომელიც იწვევს მუხის პარკის ნაირფეროვნებას, უფრო სწორად, რომ უთქვათ პარკის სხვადასხვაგვარად შეფერადებას. მაშინ ჩვენ შევძლებთ გავზარდოთ მოთეთრო და ბაცი ყავისფერი პარკის რაოდენობა მუხის აბრეშუმშესოვის პარკის მოსავალში მუქი ყავისფერი პარკის რაოდენობის შემცირების ხარჯზე, როთაც გავზრდით პარკის მოსავლიდან აბრეშუმის ძაფის გამოსავლიანობას.

ჩატარებული ცდების შედევგად გამორკვეულ იქნა პარკის აბრეშუმიანობა, ე. ი. თუ რა დამოკიდებულებაშია პარკის წონა გარსისა და ჭუპრის წონასთან. ეს საკითხი შესწავლილ იქნა პარკის სიღიღისა და ხარისხის მიხედვით. შედეგები მოცულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1.

| № № | პარკის ზომა | პარკის ხარისხი | პარკის სა- შუალო წონა გ-ობით | აბრეშუმია- ნობა % -ობით | ჭუპრის წო- ნის შეფარ- დება პარკის წონასთან % -ობით |
|-----|----------------|-------------------|------------------------------------|-------------------------------|--|
| 1 | მსხვილი | 1 | 3,8 | 20,39 | 79,61 |
| 2 | საშუალო | 1 | 3,4 | 24,83 | 75,17 |
| 3 | წვრილი | 1 | 2,55 | 21,6 | 78,40 |

როგორც 1-ლი ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტი აბრეშუმიანობა აღმოაჩნდა საშუალო ზომის პარკს, რადგან მასში ჭუპრის რაოდენობა შეადგენს $75,17\%$ -ს, ხოლო აბრეშუმის გარსი— $24,83\%$ -ს. პარკის საშუალო წონის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, მეტი აბრეშუმის გარსი უნდა ქვეონდა მსხვილ პარკს, მაგრამ ფაქტობრივად ეს ასე არ გამოვიდა. პირიქით, მსხვილ პარკში, საშუალო სიღიღის პარკთან შედარებით, გარსის რაოდენობა შემცირებულია $4,44\%$ -ით მასში ჭუპრის წონის გადიღების ხარჯზე. რაც შეეხება წვრილ პარკს, ის, მიუხედავად მცირე წონისა, მაინც უკეთესი აბრეშუმიანობით ხასიათდება, ვიდრე მსხვილი პარკი. ამიტომ მისი გადამუშავებისას ვლებულობთ უკეთეს შეღებები, ვიდრე მსხვილი პარკის გადამუშავების დროს. 1-ელ ცხრილში მოთავსებულ ციფრობრივ მასალას იმ დასკვნამდე მიღყევართ, რომ მუხის აბრეშუმშესოვის პარკის გადასამუშავებლად საჭირო წარმოებაში შემუშავებულ იქნეს ტექნილოგიური რეჟიმი პარკის სიღიღისდა მიხედვით, რადგან სამივე ზომის პარ-



კის ერთი ტექნოლოგიური პროცესთ გადამუშავება საგრძნობლად დასჭირდება წარმოებაში პარკი დან ძაფის გამოსაყლიანობას და დაზღა-დანადგარების ნაკუთხიერებას, მეორე მხრივ, კი გაძრდის ნარჩენთა რაოდენობას, რაც წარმოების თვალსაზრისით მიუღებელია.

მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის დახარისხებისას ჩვენი ყურადღება შეიძლება მიიპყრო იმ გარემოებამაც, რომ ამ პარკის მოსავალში გაცილებით მეტია ნაპერტყულა (აბრეშუმის ძაფის აბლაბულა, რომელსაც აბრეშუმმქსოვი აბამს ცახშე, ამ შემთხვევაში მუხის ფოთლებზე, პარკის ახვევის წინ). ასე, მაგ., თუთის აბრეშუმმქსოვის პარკის მოსავალში ნაპერტყულას რაოდენობა (პარკის წონასთან) მაქ-სიმალურად უდრის $0,50\%$ -ს, მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის მოსავალში კი იგი იღწევს 10% -ს. ესოდენ დიდი რაოდენობით აბრეშუმის მასის ნაპერტყულად გადაქცევა დიდ უარყოფით მხარედ უნდა ჩაეთვალოს მუხის აბრეშუმმქსოვს, რადგან ნაპერტყულა წარმოადგენს ცუდი ხარისხის ნარჩენს, რომელსაც ნაკლებად იყენებენ წარმოებაში.

პარკის დახარისხებისას არ გამოგვრჩენია ყურადღებიდან, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის მოსავალში დიდი რაოდენობით გვხვდება თავლია პარკი, ე. ი. ისეთი, რომელშიაც ნაპერტყულას მოცილების შემდეგ ერთი ბოლო (პარკის თავი) თხელი გარსითაა დაფარული. ასეთი პარკიდან ძაფი მცირე რაოდენობით იხვევა, რადგან ამოხვევის დროს მასში წყალი მაღლე შედის და იგი ძირება; ჩაძირული პარკი ამოსახვევად უვარებისა. ძაფის ფიზიკურ-დინამომეტრიული თვისებების გამოსარკვევად იგი ამოვახვეოთ ექსპერიმენტულ ძაფსაღებ დაზღაზე 10 განმეორებით. ამოხვევის დროს ძაფის ყოველ 50 მეტრზე ესწავლობდით ძაფის სიმსხოს (ტიტრს), სიმაგრეს და კიმძღვნილას. ცნობები ამის შესახებ მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2.

| განმეორების № | სიმსხო დენიოს მიხვდვით | სიმაგრე გ-ობით | ჭიმადობა სმ-ობით |
|---------------|------------------------|----------------|------------------|
| 1 | 6,1 | 2,7 | 25,0 |
| 2 | 5,9 | 2,7 | 25,0 |
| 3 | 6,1 | 2,9 | 28,5 |
| 4 | 6,8 | 2,4 | 26,4 |
| 5 | 6,4 | 2,9 | 24,8 |
| 6 | 5,6 | 2,3 | 25,6 |
| 7 | 6,4 | 2,7 | 24,5 |
| 8 | 5,6 | 2,5 | 24,7 |
| 9 | 6,5 | 2,5 | 22,8 |
| 10 | 5,8 | 2,6 | 29,8 |

საშუალო 6,12 2,62 25,71

მე-2 ცხრილიდან ჩანს, რომ მუხის აბრეშუმმქსოვის ძაფი უფრო თანაბარი სიმსხოსა, ვიდრე თუთის აბრეშუმმქსოვის პარკის ძაფი. ამავე დროს ის, თითქმის, არ ჯერ უფრო მსხვილია თუთის აბრეშუმმქსოვის ძაფზე. რაც შეეხება სიმაგრეს ერთ დენიზე, ამაში, როგორც ეს ცდების დროს გამოირკვა, მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის ძაფი ჩამორჩება თუთის აბრეშუმმქსოვის პარკის ძაფს. სხვათა შორის მძნამდე ისეთი აზრი იყო გავრცელებული, რომ თითქმ



მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის ძაფი უფრო მაგარიაო. მაგრამ ჩვენ მიერ აშენდებიან კითხები მრავალჯერ ჩატარებულმა ცდებმა დაგვარწმუნა იმაში, რომ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის ძაფი 25% -ით და ზოგ შემთხვევაში მეტჯერაც სუსტია თუთის აბრეშუმმქსოვის პარკის ძაფზე. ასე, მაგ., თუთის აბრეშუმმქსოვის სამრეწველო ჯიშების ძაფის სიმაგრე ერთ დენიეზზე საშუალოდ უდრის $3,5-4$ გრამს, მუხის აბრეშუმმქსოვის ძაფის სიმაგრე, როგორც ეს მე-2 ცხრილიდანაც ჩანს, $2,9$ გრამს უდრის მაქსიმალურად. რაც შეეხება ძაფის ჭიმადობას, ეს თვისება მუხის აბრეშუმმქსოვის ძაფში უკეთესი აღმოჩნდა, დაახლოებით, 14% -ით. ასე, მაგალითად, თუთის აბრეშუმმქსოვის ძაფის ჭიმადობა ერთ მეტრზე საშუალოდ 20 სანტიმეტრს უდრის, მუხის აბრეშუმმქსოვისა კი $22,8$ სანტიმეტრს აღწევს.

ვინაიდან სუქაროველოში არ მოიპოვებოდა ხელსაწყო პარკის მოცულობისა და მისი გარსის წინააღმდეგობის გამოსარკვევად, ამიტომ პარკის ნიმუში გავგზავნეთ მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში, სადაც ჩვენი თხოვნით პროფ. ვ. ვ. ლინდეს ზედამხედველობით შესწავლით იქნა პარკის აღნიშნული თვისებები. ცდის შედეგად გამოირკვა, რომ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის მოცულობა უდრის $12,3$ კუბიკურ სანტიმეტრს (თუთის აბრეშუმმქსოვის პარკზე თითქმის ორჯერ მეტია), ხოლო პარკის გარსის წინააღმდეგობა, გარსის 3 მილიმეტრით დეფორმაციის შემთხვევაში, უდრის პარკის სიგრძეზე $3925,6$ გრამს, პარკის სიგანეზე კი— $3156,6$ გრამს (დაახლოებით ორჯერ მეტია, ვიდრე თუთის აბრეშუმმქსოვის პარკის გარსის წინააღმდეგობა). 100 ცალი პარკის გაზომვის შედეგად ერთი პარკის სიგრძე საშუალოდ უდრის $43,4$ მილიმეტრს, ხოლო სიგანე— $23,5$ მილიმეტრს.

ძაფსაღებ წარმოებაში მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის გადამუშავებისას ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს პარკის მოხარშვა და ძაფის წვერის მონახვა. ამ საკითხის დასამუშავებლად გამოვიყენეთ მრავალი ხერხი. ყველაზე უკეთეს შედეგს მივაღწიეთ ავტოკლავში პარკის წინასწარ დალბობით. ამ მიზართულებით ჩატარებული ცდის შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3.

| №№ რიგზე | წინების რაოდენობა ავტოკლავში | ავტოკლავში პარკის ამონვეული რაოდენობა დაყოვების დრო წუთობით | პარკის რაოდენობა % - ბით | პარკიდან ამონვეული ძაფის სიგრძე მეტრობით |
|-------------|---------------------------------|---|-----------------------------|---|
| 1 | 1/2 ატმ. | 20 | 20 | 56,6 |
| 2 | 1/2 " | 30 | 10 | 400 |
| 3 | 1/2 " | 60 | 50 | 613 |
| 4 | 1,0 " | 20 | 15 | 100 |
| 5 | 1,0 " | 30 | 80 | 628 |
| 6 | 1,0 " | 45 | 50 | 375 |
| 7 | 1,0 " | 60 | 25 | 529 |

ჩატარებული ცდებიდან ნათლად ჩანს, რომ სხვა ვარიანტებთან შედარებით, უკეთეს შედეგს იძლევა პარკის წინასწარ დალბობა ავტოკლავში 1 ატმოსფეროს წნევის ქვეშ 30 წუთის ხანგრძლიობით.

ავტოკლავში მოთავსებამდე პარკს ხუთით ვალბობდათ ადგურებული წყალში, ომელშიც პარკისათვის ტენის შესანარჩუნებლად ჩატური გლიცერინი. ცდის პერიოდში ავტოკლავში პარკს ვალბობდით ძაფსალები დაზგიდან დაცილებით. ეს გარემოება წარმოების პირობებში იწვევდა ერთგვარ უხერხულობას. ამ უხერხულობის დასაძლევებლ სამრეწველო ტიპის ძაფსალებ დაზგაზე პარკის ერთი სახარშავი ქვაბი გადავაკეთო ავტოკლავად, რამაც მოგვცა შესაძლებლობა ივტოკლავში პარკის დალბობა დაგვეახლოვებინა ძაფსალებ დაზგასთან. პარკის დალბობის რეჟიმის შემუშავების შემდეგ დავიწყეთ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის სამრეწველო ამოხვევა. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ცდების ჩატარების დროს და სამრეწველო ამოხვევის პირობებშიც გამოირკვა, რომ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის გადამუშავებისას დიდი ძინიშვნელობა აქვს პარკის ფერს. ამის გამო გადასამუშავებლად მიღებული პარკი დავახარისხეთ ფერის მიხედვით და ცალ-ცალკე გადავამუშავეთ. ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი მოგვცა მოთეთრო პარკმა, შემდეგ ბაცმა ყავისფერმა, ყველაზე ცუდი შედეგი კი — მუქმა ყავისფერმა.

პარკის დახარისხების დროს მიღებული იყო მხედველობაში პარკის ფორმაცი, რაღაც დაკვირვების შეოვეგად გამოირკვა ისიც, რომ თავშაწვეტებული პარკი უფრო ცუდად იხვეოდა, ვიდრე ოვალური. ამოხვევისას ხშირად წყდებოდა მისი ძაფი, პარკის თავი უფრო აღრე იხსებოდა, რის გამოც პარკი წყალში იძირებოდა. ოვალური პარკი კი, პირიქით, უკეთესად იხვეოდა, მისი ძაფი უფრო იშვიათად წყდებოდა და წყალშიც ნაკლებად იძირებოდა.

ცხრილი 4.

| №№ | პარკის ფერი | პარკიდან ძაფის გამო- სავლიანობა % | რანდემანი | ბოლომდე ამოუხვევლი პარკების რაო- დენობა ცალბორ (დაყანალი 1 პარკზე) | | |
|-------|--------------------------------|--|-----------|---|----------|-----------|
| | | | | სულ | ბასინეტი | მათ შორის |
| რიგზე | | | | | | |
| 1 | მოთეთრო ბაცი ყავის- ფერი | 9,1% | 10.9 | 153 | 77 | 76 |
| 2 | მუქი ყავის- ფერი | 7,4% | 13,5 | 161 | 81 | 80 |
| 3 | ფერი | 6,4% | 15,7 | 168 | 65 | 103 |

ყველა ზემოხსნენებული სპეციფიკური პირობის გათვალისწინებით ჩავატარეთ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის სამრეწველო ამოხვევა შემდეგი ტექ-ნოლოგიური პროცესის დაცვით: ძაფის ამოღლები ემსახურებოდა 4 თვითწამ-ლებს, ჯარათა სისწრაფე წუთში უდრითა 60—65 მეტრს, პარკის ამოხვევა წარ-მოებდა გრეხილის გარეშე, ლუზში წყლის ტემპერატურა უდრითა 50—55° C, პარკი ლბებოდა აღლუმებულ წყალში 5 წუთით, შემდეგ კი ავტოკლავში 1 არმოს-ფეროსწნევის ქვეშ 30 წუთის განმავლობაში. პარკის წვერის მონახვა ხდებოდა ხელის ცოცხით. პარკის ამოხვევა მიმდინარეობდა სამრეწველო ტიპის ძაფსალებ დაზგაზე 25 დღის განმავლობაში. ჩატარებული მუშაობის საშუალო მაჩვენებ-ლები მოცემულია მე-4 ცხრილში.



მე-4 ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკიდან ძაღლი გამოსავლიანობა საერთოდ დაბალია. თუთის აბრეშუმმქსოვის პარკოან შეტანილია ბით იგი 20—24%-თავ დაბალი. ასე, მაგალითად, თუთის აბრეშუმმქსოვის პარკი მისი წონიდან საშუალოდ იძლევა 28—30% ძაფს, მუხის აბრეშუმმქსოვის მოთვარი რო პარკიდან კი მიღებულ იქნა მხოლოდ 9,1% ძაფი. რაც შეხება მუჯ ყავისფერ პარკს, მისგან ძაფის გამოსავლიანობა კიდევ უფრო დაბალია (6,4%). ამ ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის ფერს დიდი მნიშვნელობა აქვს პარკის ბოლომდე ამოხვევისთვისაც. რაც უფრო მუქია პარკი, მით მეტია ბოლომდე ამოუხვეველი პარკების რაოდგნობა. აქ საგულისხმოა ის, რომ მუქი ყავისფერი პარკი იძლევა ძაბალ გამოსავალს, უმთავრესად თავლია პარკის რაოდგნობის გაზრდის ხარჯზე. მე-4 ცხრილის მიხედვით ნათლად დასტურდება ის გარემოება, რომ წარმოებაში მუხის აბრეშუმმქსოვის პარკი უნდა იქნეს გადამუშავებული ფერებისდა მიხედვით ცალ-ცალკე, მისთვის შემუშავებული ტექნოლოგიური პროცესით და, რომ ფერებად დაუხარისხებელი პარკის გადამუშავება ერთი ტექნოლოგიური პროცესით მიუღებელია. პარკის ამოხვევის მიმდინარეობის პროცესში აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკი თავისი სიმძიმის გამო მეტ ნაწილად იძირებოდა წყალში, რაც ცუდ გავლენას ახდენდა მუშაობის პროცესზე. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად შევეცადეთ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკი ამოგვეხვია არა წყალში, არამედ ლია ორთქლში. ამ შემთხვევაში პარკი კარგად ირღვეოდა, ისე კარგად, რომ ცალკეულ შემთხვევაში თითო პარკიდან გლებულობდით 900—1000 მეტრ ძაფს: მაგრამ წარმოების პირობებში ლია ორთქლში პარკის ამოხვევას ბევრი ტექნიკური ხასიათის სინაელე შეხვდა და მისი პრაქტიკულად განხორციელება არსებულ დაზგა-დანადგარებზე შეუძლებელი შეიქნა. ამიტომ იძულებული ვიყავით წყალში პარკის ჩაძირვის თავიდან ასაცილებლად გამოგვენახა სხვა ხერხი. ეს სხვა ხერხი გამოიხატა იმაში, რომ წყალში NaCl-ის ჩამატებით გავზიარდეთ მისი კუთრი წონა. ამან ხელი შეუწყო წყალში პარკის ამოხვევას, რადგან NaCl-ით მაძრატ წყალში პარკი ნაკლებად იძირებოდა, მაგრამ NaCl-ში აბრეშუმმქსოვის ძაფი ძალიან გააუხეშა. ამიტომ შემდგომ იგი შეცვლილ იქნა K_2CO_3 -ით, რომელმაც ისეთივე როლი შეასრულა, როგორიც NaCl-ში და ამავე დროს ძაფიც არ გააუხეშა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ მუხის აბრეშუმმქსოვის მოშენება შეჩერებულ იქნა, უმთავრესად, მუხის ტყის, დაცვის მიზნით საქართველოში. იგი გადატანილ იქნა საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში, მისი ევროპული ნაწილის შუა სარტყელში—პოლტავის, სუმსკის, ხარკოვის, ვორონეჟის, კურსკის, კუბინიშვევის ოლქებში, ბაშკირეთის, თათართა და ჩუვაშეთის ასე რესპუბლიკებში, ყირიმის და როსტოვის ოლქებში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეში, დალევსტნისა და ყაბარდის ასე რესპუბლიკებში, და სხვა აღნიშნულ ადგილებში ბლობად მოიპოვება მუხის აბრეშუმმქსოვისათვის გამოსაღევი მუხის ბუქჩოვანი ტყეების მასივები და ამიტომ ძლიერ ჩარია განვთარდა იქ მისი მოშენება. რასაკეირველია ამ საქმეში მათ საგრძნობლად



დაეხმარა საქართველოში ჩატარებული ცდების შედეგები და მოღებული მოცდილება.

მიუხედავად იმისა, რომ მუხის აბრეშუმმქსოვის პარკის ტექნოლოგიის შესასწავლად 12—13 წლის წინათ იყო ჩვენ მიერ ჩატარებული ცდები, მათ შედეგებს დღესაც არ დაუკარგავს ინტერესი. პირიქით, ამ მიმართულებით შემდგომ ჩატარებული დამატებითი გამოკვლევები (აბრეშუმის ტექნოლოგიის საკუთრიო სამუცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშავთა მიერ) ძირითადად ისეთსავე შედეგებს იძლევა, როგორიც ჩვენ მიჰმა უკინებელი.

Доц. И. ДОЛИДЗЕ
Канд. технич. наук

КОКОНЫ КИТАЙСКОГО ДУБОВОГО ШЕЛКОПРЯДА И ЕГО ТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ СВОЙСТВА

Из многих разновидностей диких шелкопрядов, наибольший производственный интерес представляет китайский дубовый шелкопряд (*Anthereca Perpui*), из шелка которого ткут известную по своей добротности ткань т. н. чесучу.

Разведением дубового шелкопряда давно занимаются в Маньчжурии, Китае, Японии и т. д., а после Октябрьской Революции дубовый шелкопряд большое распространение получил и в Советском Союзе.

Первые опыты по разведению дубового шелкопряда были начаты в бывшей царской России в Грузии в 1873 году, но этому замечательному начинанию не было уделено тогда должного внимания и опыты были сорваны.

Научно-обоснованные опыты в большом масштабе были начаты в 1933—34 г.г. Закавказским научно-исследовательским институтом шелководства (Тбилиси), которым проведено много кропотливых работ по освоению техники выкормки и разведения в наших условиях дубового шелкопряда.

В результате проведенных советскими исследователями и практиками-колхозниками работ, дубовый шелкопряд с 1937 года находит широкое практическое применение в колхозном и совхозном хозяйстве ряда областей и краев РСФСР, Украины и Северного Кавказа.

Дубовый шелкопряд дает в году два урожая коконов—весенний и летне-осенний. Кормом для этих шелкопрядов служат дубовые листья.

До третьего возраста их выкармливают в домах по специальному методу, а с третьего возраста их переносят в лес на дубовые кусты, где они живут и выкармливаются под открытым небом и к концу пятого возраста завивают коконы.

Коконы дубового шелкопряда в основном овальной формы и полуоткрытые к головной части.

Оболочка коконов дубового шелкопряда хрупка и крепка. Она завита коконной нитью спирально, а не восьмеркообразными пакетами характерными для оболочки коконов тутового шелкопряда.

Очевидно, время затрачиваемое червем дубового шелкопряда на откладку нити в одной позиции больше, чем у тутового шелкопряда так как при экспериментальной размотке коконы дубового шелкопряда разматываются неподвижно в течение большего времени, чем коконы тутового шелкопряда.

Нами изучался весенний урожай 1937 г. коконов дубового шелкопряда Каспского и Хашурского районов (Грузия). Они были трех цветов, вернее трех оттенков и трех величин. В результате сортировки коконов получены: а) беловатые (10,3%), б) светлокоричневые (30,4%), в) темнокоричневые (59,3), г) мелкие (18,9%), д) крупные ('0,5) и е) средней величины (70,6%).

По качественному составу коконы оказались: нормальные—74,45%, тонкостенные и запачканные—23,58%, двойников—1,97%, что намного меньше, чем в урожае коконов тутового шелкопряда.

Результаты среднего веса коконов, куколок и шелконосности указаны в таблице 1. Характерно то обстоятельство, что коконы средней величины дали на 4,44% больше шелка, чем коконы крупных размеров. Это увлечение объясняется в основном меньшим весом куколок в коконах средней величины.

Оболочка коконов у дубового шелкопряда почти два раза крепче, чем оболочка тутового шелкопряда; так, например, при 3-х миллиметрах деформации, сопротивление коконной оболочки дубового шелкопряда равна: по длине кокона—3925,6, а по ширине—3156,6 г. В результате экспериментальной размотки были определены: 1. средняя длина коконной нити (659 метров), 2. средний титр коконной нити (6,12 денье), 3. средняя крепость на одно денье (2,62 г), 4. среднее удлинение (25,7%).

Предположение о крепости нити коконов дубового шелкопряда, по сравнению с нитью коконов тутового шелкопряда исследованиями не подтвердилось. В результате многократных испытаний можно кон-



статировать, как факт то явление, что крепость коконной нити тутового шелкопряда (Каспского района урожая 1937 г.) на однодене на 20% меньше, чем у коконной нити любой породы тутового шелкопряда. Удлинение же нити, наоборот, у коконов дубового шелкопряда на 14% больше, чем у тутового шелкопряда.

Опытно-исследовательские работы по размотке коконов дубового шелкопряда велись химическим методом (В. Чиковани—руководитель и К. Гамсахурдия) и физико-механическим методом (И. Долидзе—руководитель и Л. Гоголашвили). В настоящей статье изложены результаты опытов размотки коконов физико-механическим методом.

Коконы дубового шелкопряда обычным методом, практикуемым при размотке коконов тутового шелкопряда не подаются размотке, а потому стало необходимо подвергнуть их предварительной обработке.

Из разных опытов, проведенных нами по предварительной обработке коконов, лучшие результаты получены при пропарке коконов дубового шелкопряда в автоклавах, под давлением 1 атм. в течение 30 мин. При этом варианте 80% коконов удовлетворительно разматывались (таб. 3).

До укладки коконов в автоклав, их на 5 минут погружали в кипяченую воду, куда для сохранения влаги в коконах был добавлен технический глицерин.

Концы коконной нити находились ручной щеткой, а размотка проводилась на обычном кокономотальном станке промышленного типа. Одна мотальница обслуживала четыре ловителя, при скорости размотки 60—65 метров в минуту. Размотка проводилась без перевивки. Для удобства и с целью приближения предварительной пропарки коконов к кокономотальному станку, один запаечный котелок коконометального станка был переделан под автоклав (был сделан новый батос из листовой меди толщиной 1 мм с герметически закрывающейся крышкой с монометром). Размотка проводилась сухая (на пару) и мокрая (в воде).

При сухой размотке коконы разматывались лучше. Отдельные коконы при сухой размотке давали 900—1000 метров нити. Нами было обнаружено, что сухой размоткой разматываются даже коконы открытые к головной части. Сухая размотка при производственных условиях встретила много препятствий и неудобств, а потому промышленная размотка в дальнейшем проводилась в воде при 50—55°C.

Размотке подвергались коконы, рассортированные по цветам. Наилучший результат был получен при размотке коконов белова-

того цвета. Опытом установлено, что чем темнее по цвету коконов, тем у них меньше выхода шелка сырца. Это происходит большей частью за счет увеличения при размотке раскрывания коконов. Например из таблицы 4 видно, что при размотке темнокоричневых коконов до конца не были размотаны 168 шт коконов, в том числе не размотались по причине раскрывания к головной части кокона 103 шт.

При мокрой размотке коконы часто погружались в воду мотального таза, что мешало размотке.

Во избежание погружения коконов нами был растворен в воде мотального таза NaCl . При этом мы добились увеличения удельного веса воды до такой степени, что в них коконы не погружались, но при размотке коконов в такой воде шелковая нить получалась очень грубая.

С целью изжития грубоści нити и для утяжеления воды, NaCl в дальнейшем был заменен K_2CO_3 , что дало положительные результаты (таб. 4).

ЧАСТЬ I—СОДЕРЖАНИЕ

| | |
|---|-----|
| 1. Лінія дейлінга із відмінною | 83 |
| 2. Л. Декапрелевич, М. Сихаруладзе—Подвижность состава искусственных смесей пшеницы | 1 |
| 3. Фото. 8. 6 2 б та д—Митоаб Зіркодебаші მომუშავე ტრაქტორების ეკონоміურობის და მარტомбლობის ზრდის საკითხіსათვის | 3 |
| Доп. Г. Хантадзе—К вопросу о повышении экономичности и производительности тракторов, работающих в горных условиях | 15 |
| 4. Фото. 3. 3 2 б 2 8 та д—Аზоттурбоджетрол განვითარების ფინансово-хозяйственному управлению მცხარის რიზოსფერობი | 20 |
| Доп. К. Гамбашидзе—Динамика развития автобактера в ризосфере некоторых сельскохозяйственных культур | 25 |
| 5. Фото. 3. 3 2 б 2 8 та д—კორონის მარაგის განსაზღვრის საკითხისათვის | 32 |
| Доп. В. Мирзашили—К вопросу определения запаса насаждений по способу Гердинга | 35 |
| 6. Фото. 6. 6 2 б та 6 1—ყვავილების მოცილების გავლენა ზოგიერთ სასოფ.-საშეულებო მცხარის ზრდа-განვითარებაზე | 44 |
| Доп. Н. Каинтирия—Влияние удаления цветов на рост и развитие некоторых сельскохозяйственных растений | 49 |
| 7. Ф. 2 8 2 6—ცხვრის მომთაბარების ზოგიერთ საკითხი ქართლის რაიонів და მთიულეთში | 59 |
| Д. Агладзе—Некоторые вопросы отгона овец в районах Картли и Мтиулети | 61 |
| 8. Фото. 5. 6 2 8 2 6 1—ტყის სიმწიფის საკითხისათვის სატყეო მეურნეობაში | 85 |
| Доп. Н. Маргвелашвили—К вопросу о спелости леса в лесном хозяйстве | 89 |
| 9. Земф. 6. 6 2 8 2 6 1—ხეხილის ნარгахи ტიპები, მათი ეკონомიური და საჭარმო-ორგаниზაციული დახსინაფება | 99 |
| Проф. Н. Хомизурашвили—Типы плодовых насаждений, их экономическая и производственно-организационная характеристика | 105 |
| 10. Фото. 9. 4 2 8 2 6—მუხის აბრეშუმმქოვნის პარკი და მისი ტექნოლოგიური თვისებები | 118 |
| Доп. И. Додидзе—Кокони китайского дубового шелкопряда и его технологические свойства | 121 |
| | 130 |

ტექნიკური რედაქტორი გრ. თ თ დ უ ა

შე 02605.

ტირაჟი 500.

შეც. № 268.

ხედმოწერილია დასახელდა 2/III—50 წ. ანაწყობის ზომა 7×11. საანგარიშო-საგამომცემლო
ფორმათა რაოდენობა 11. შრომის წითელი დროშის ორდენის
საკუთრებულის საკუთრებულის საკუთრებულის
ქ. თბილისი, მარის ქ. № 33.